ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 1 ივნისი, 2018 №128 (7673) ფასი: 50 თეთრი

უბნის ინსპექტორმა საყვარელი დაჭრა, მისი ყოფილი ქმარი კი მოკლა



გვ.7

სროლა წერეთელზე

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

მთავარი პროკურორი გადადგა

გვ.3

ვინ შეცვლის ირაკლი შოთაძეს – კახა კახიშვილი თუ ვანო ზარდიაშვილი

გვ.2

მაკა ჩიჩუა ზაზა სარალიძეს გვერდით დაუდგა

კახა კუკავა: „უნდა გადადგეს მინიმუმ იუსტიციის მინისტრი“

გვ.4

სამართალი

გვ.7

„დადგინდა, რომ დათო სარალიძის ნამდვილი მკვლელები გარეთ არიან“

რა აჩვენა სასამართლოს განაჩენმა



პოლიციამ კრიპტოვალუტით მოვაჭრე „ეფიქს ჯგუფი“ დალუქა

ხელმძღვანელობა დაკითხვაზე გადაიყვანეს

ეკონომიკა

გვ.6

პაატა ბაირახტარი: „რატომ არ აღმოაჩნდათ კომპანიებს საწვავის მარაგი და რატომ მოხდა ასეთი მკვეთრი მატება?“

„ქვეყანაში ეკონომიკის ზრდა არ იგრძნობა, შესაბამისად, უკმაყოფილო ადამიანიც ძალიან ბევრია“

საქართველოში სამედიცინო ტურიზმზე მოთხოვნა იზრდება

ვინ და რა პროექტს ახორციელებდა მთაწმინდაზე, სადაც კლდე ჩამოიშალა



ISSN 1987-9385

5 თურქეთი: „სირიის მიერ სოხუმისა და ცხინვალის აღიარება მიუღებელია“

5 ნიკოლ პაშინიანის სამცხე-ჯავახეთში ჩასვლის შემდეგ ამ რეგიონს საქართველოზე ზეწოლისთვის ვეღარ გამოიყენებენ

5 აეროპორტის ტერიტორიაზე 120 ნომრის მქონე სასტუმრო აშენდება

6 ეროვნული ბანკი ღია ბაზრის ინსტრუმენტით ფასიან ქაღალდებს შეიძენს

მაკა ჩიჩუა ზაზა სარალიძეს გვერდით დაუდგა

ხალხმრავალი აქცია პროკურატურასთან

ნათია ხურცილავა

გუშინ, 31 მაისს, ხორავას ქუჩაზე მოკლული მოსწავლეების სასამართლოს განაჩენის გამოცხადების შემდეგ დავით სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძემ, მთავარ პროკურატურასთან გადაინაცვლა.

მთავარ პროკურატურასთან ხალხმრავალი აქცია მალევე დაიწყო. აქციას შვილმკვდარი მშობლები, მათ შორის პანკისის ხეობიდან სპეციალურად ჩამოსული მალხაზ მაჩალიკაშვილი შეუერთდა.

აქციის მონაწილეების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის გადადგომა იყო.

მალხაზ მაჩალიკაშვილი:

– მე ჩამოსული ვარ აქ იმიტომ, რომ ზაზას დავუდგე გვერდით და ვიდგები იქამდე, ვიდრე ეს ადამიანი თავის სიმართლეს არ დაამტკიცებს. რაც შეეხება ჩემს საქმეს, მე ყოველდღე სარწმუნო წყაროებიდან ვიღებ ინფორმაციას, რომ ჩემი შვილი სპეციალურადაა მოკლული. ვფიცავ მაღალ ღმერთს, ჩემი შვილი რომ იყოს დამნაშავე, გინდაც ეჭვმიტანილი, მე მას თავად დავახრჩობდი, თუ რამე ექნებოდა საქართველოს

წინააღმდეგ ჩაფიქრებული. სარალიძის გვერდით ვიდგები, ვიდრე ის საკუთარ სიმართლეს არ იპოვის, მერე კი ჩემს ხალხს გამოვიყვან და ვაჩვენებ ამათ, რა შემიძლია, ვინ არიან ჩემს ზურგს უკან.

აქციაზე მივიდა ანა დოლიძე. მას საკმაოდ ემოციურად შეხვდა ზაზა სარალიძე.

ანა დოლიძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი:

– მე ეს ბრძოლა ნანახი მაქვს, ირინა ენუქიძისა და გურამ გირგვლიანის გვერდით როდესაც ვიდექი. მაშინაც გვინდოდა, რომ ეს სისტემა დანგრეულიყო, რომელიც არ დაინგრა. ეს სისტემა უნდა დავანგრიოთ. დღეს თვითონ მთავარმა პროკურორმა თითქმის აღიარა კაპიტულაცია იმით, რომ ამდენი ხნის მერე მან თქვა, რომ ახლა უნდა ჩამოიყვანოს უცხოელი პროკურორები, რომლებმაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყონ.

რისთვის გვჭირდება მაშინ ეს სტრუქტურა, რისთვის გვჭირდება ეს მრავალმილიონიანი ბიუჯეტი და ის ასობით ადამიანი, ვინც აქ მუშაობს. ფაქტია, რომ მათ ვერ შეასრულეს დავალება და საკუთარი ფუნქცია, თორემ ჩვენ დღეს აქ არ ვიქნებოდით. ჩვენ გვჭირდება, რომ ყველა კითხვას ამ საქმეზე გაეცეს ამომწურავი პასუხი.

ეს არ სჭირდება მარტო ბატონ ზაზას, ეს გვჭირდება ქართველ ხალხს, იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან ბევრი ვიღვაწეთ იმისთვის, რომ არასდროს მომხდარიყო იგივე, რაც მოხდა გირგვლიანის შემთხვევაში, ვაზაგაშვილის შემთხვევაში და ა.შ.

აქციას პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ. ოპოზიციური პარტიების ლიდერების გამოჩენას გარკვეული უკმაყოფილება მოჰყვა მომიტინგეთა ნაწილში, რაც გიორგი ვაშაძემ გააპროტესტა.

გიორგი ვაშაძე, „ახალი საქართველოს“ ლიდერი:

– ისინი არიან ჩვეულებრივი შემოგზავნილი პროვოკატორები, რომ სიტუაცია არიონ. პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა ვაგებინოთ იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც დავალება მისცეს მთავარ პროკურატურას. პოლიტიკოსებმა უნდა აგებინონ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რაც ყველას უნდა გვესმოდეს. მე აქ ვარ, როგორც პოლიტიკოსი, შვილმკვდარი მამის გვერდით ვდგავარ და მას აუცილებლად დავუდგები ბოლომდე გვერდით. „ქართულ ოცნებას“ ყველა პოლიტიკურ დავალებაზე, რომლებიც ამ საქმეზე გასცა, პასუხს ვაგებინებთ.

– თქვენთვის რისი ნიშანი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება?

– დღეს დადგინდა, რომ პროკურატურას ხელები სისხლში აქვს გასვრილი. ეს ცალსახაა. შეუძლებელია, რომ შოთაძე იყოს მხოლოდ ამ ყველაფრის ავტორი და მან აიღოს ეს ყველაფერი საკუთარ თავზე. აქ უფრო მაღლიდან მოდის დაკვეთა და ჩვენ ამ დაკვეთის ავტორი უნდა დავსაჯოთ.

ეს ყველაფერი ჰაერიდან არ მოდის. თქვენ გგონიათ, შოთაძემ თვითონ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რომ მკვლელისთვის ხელი დაეფარებინა?! შოთაძე არის შემსრულებელი იმ დავალების, რომელიც „ქართული ოცნებისგან“ მიიღო. შოთაძე ახლა რა შუაშია, მან უნდა თქვას, ვინ დაავალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულის დაფარვისთვის ის იქნება დამნაშავე და ციხეში უნდა წავიდეს.

ხათუნა სამნიძე, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე:

– პროკურატურამ ეს საქმე არ გამოიძია სამართლიანად. ამ გამოძიებით კიდევ უფრო მეტი კითხვა დარჩა. ამ კითხვებს პასუხი არ გაეცა. აუცილებლად უნდა დადგეს მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხი. შოთაძე მთელი ამ ხნის განმავლობაში დანაშაულს ფარავდა, როგორც ჩანს. ამ პროკურატურამ არაფერი არ გააკეთა, პირიქით, ფაქტები დაფარა და ხელი შეუწყო იმას, რომ გამოძიება ჩიხში შესულიყო.

პროკურატურამ არ უზრუნველყო, რომ საზოგადოებაში არსებული შეკითხვებისთვის პასუხი გაეცა. ვხედავთ, რაოდენ დიდია უსამართლობის განცდა საზოგადოებაში. დღეს ჩვენ ძალიან მძიმე პროცესის მოწმენი ვართ, ამ ყველაფრის ავტორი კი, ცხადია, პროკურატურაა. ჩვენ ვხედავთ უმძიმეს სურათს, როდესაც შვილმკვდარი მამა ვერ პოულობს სამართალს და ის სამართლის პოვნაში დახმარებას სთხოვს ყველას.

– სასამართლოს გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?

– სასამართლოს განაჩენი არის დასტური იმის, რაზეც მთელი ამ ხნის განმავლობაში საუბრობდა ზაზა სარალიძე, რომ ის ორი ბრალდებული არ იყო მისი შვილის მკვლელი და მკვლელი გარეთ არის თავისუფლებაზე, რომელსაც, მისი მტკიცებით, ხელს აფარებს პროკურატურა. პროკურატურის რეაქციაც სწორედ ამას ადასტურებს.

სერგო რატიანი, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი:

– სასამართლოს გადაწყვეტილებამ გვაჩვენა, რომ პროკურატურა მთელი ამ ხნის განმავლობაში არა მხოლოდ არასწორი გზით მიდიოდა, არამედ, დანაშაულებრივად ფარავდა სავარაუდო დამნაშავეებს. დღეისთვის ვხედავთ, რომ საზოგადოებამ არ იცის, ვინ მოკლა სარალიძე და მკვლელი თავისუფლებაზე დადის. შესაბამისად, რასაც ხედავდა მთელი საზოგადოება, რომ პროკურატურა არასწორი მიმართულებით მიდიოდა, ამას ვერ ხედავდა საპარლამენტო უმრავლესობა, რაც, რასაკვირველია, მათი პასუხისმგებლობაც არის.

ჩვენ ამ დღეების განმავლობაში „ქართულ ოცნებას“ ვეუბნებოდით, რომ აუცილებელი იყო, შექმნილიყო პარლამენტში საგამოძიებო კომისია, რაც მაშინ არ გააკეთეს. ახლა კი დათანხმდნენ. თუმცა, მთავარმა პროკურორმა პასუხი უნდა აგოს ამ ყველაფერზე. ეს პასუხისმგებლობა ეკისრება მთელ „ქართულ ოცნებას“.

ზაალ უდუმაშვილი, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი:

– სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა ზაზა სარალიძის სიტყვები, რომ მისი შვილის მკვლელები გარეთ არიან. სიმართლის დადგენა ძალიან მარტივად იყო შესაძლებელი, თუ პროკურორები კეთილსინდისიერად მიუდგებოდნენ ამ საქმეს. საერთაშორისო პროკურორების ჩამოყვანა საერთოდ არ წარმოადგენდა აუცილებლობას, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ პროკურატურას არ ჰქონდა რეალური სურვილი, ეს საქმე გამოძიებულიყო და რეალური დამნაშავეები დასჯილიყვნენ. ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს და პირველ რიგში მამას და შემდეგ მთელ საზოგადოებას სიმართლე უნდა უთხრან.

დავით უსუფაშვილი, „შენების მოძრაობის“ ლიდერი:

– სწრაფი რეაგირებაა საჭირო. ყველა პროკურორი, რომელიც ამ საქმეში იყო ჩართული, უნდა ჩამოსცილდეს საქმესაც და პროკურატურასაც. ელემენტარული გააზრება ვერ მოხდა, მათ ვერ გაიაზრეს, თუ რა ტიპის საქმესთან ჰქონდათ ურთიერთობა. ჩვენ გვჭირდება სოლიდური, თავდაჯერებული, კანონის ჩარჩოებში მოქმედი პროკურორები, რომელთა სიტყვასაც ფასი და წონა ექნება. ამიტომ ყველამ კეთილი ინებოს და დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს და არა ის, რასაც პოლიტიკური კონიუნქტურა უკარნახებთ, რომ ნიჰილიზმის ზედმეტი დოზა არ მიიღოს საზოგადოებამ და არ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ თავად უნდა გაუმკლავდეს ყველა სირთულეს. ჩვენ სახელმწიფო უნდა შევქმნათ, სამწუხაროდ, ამ ტრაგედიებისა და ასეთი მსხვერპლის ფასად.

ლევან სამუშია, თავისუფალი დემოკრატების წევრი, იურისტი:

– პროკურატურა ამ ქვეყანაში ზოგადად არის ჩიხში შესული. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ იძახდა მთელი ამ ხნის განმავლობაში მამა, რომ მისი შვილის მკვლელი გარეთ იყო, პროკურორები კი გვეუბნებოდნენ, რომ ყველაფერი კარგად არის. მთავარი პროკურორი შოთაძე კი გვეუბნებოდა, რომ საქმის ძიება დასრულდა. თურმე, როგორც გვეუბნებოდნენ, ისე არ ყოფილა საქმე, პირიქით, ცუდად ყოფილა საქმე.

– სამართლებრივად რა შეგიძლიათ გვითხრათ, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ეს საქმე სამართლებრივად გამოძიებაში ვეღარ დაბრუნდება, რადგან სისხლის სამართლის პროცესი ამას არ უშვებს, მაგრამ შესაძლებელია ახალი გარემოებებიდან გამომდინარე საქმის ახალი გამოძიება და ცალკე წარმოება. სასამართლომ გვითხრა ის, რაც გვითხრა.

– რა გვითხრა სასამართლომ?

– სასამართლომ კითხვები, რომლებიც არსებობდა საქმეში, კიდევ უფრო გაამძაფრა. ახალი გარემოება თუ გამოიკვეთება, სავსებით შესაძლებელია, ძიება ამ გარემოებებზე დაიწყოს. ისე, ეს საქმე ხელახალ ძიებაში ვეღარ დაბრუნდება.

ყველა ის პროკურორი, რომელიც პოლიტიკური საქმის წარმოებაშია დახელოვნებული, ამ საქმეს არ უნდა გაეკაროს. ეს პროკურორები საერთოდ არ უნდა გაეკარონ არც ერთ საქმეს.

გიგი უგულავა, „ევროპული საქართველოს“ ლიდერი:

– სიტუაცია ძალიან მწვავე და კრიტიკულია. ასეთ ვითარებაში აუცილებელია, პარლამენტში დროებით საგამოძიებო კომისიას, რომელიც შეიქმნა ჩვენი მოთხოვნით, უხელმძღვანელოს ოპოზიციიდან არჩეულმა დეპუტატმა და ამ კომისიაში უმრავლესობა უნდა იყოს ოპოზიცია, რომ უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა. მანამ, სანამ ამ ხელისუფლებას არჩევნების გზით შეცვლის ქართველი ხალხი, აუცილებელია სამართლებრივი პროცესები. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარალელურად უმწვავესი პროტესტი იქნება, რომ საზოგადოებამ არსებულ კითხვებზე პასუხები მიიღოს.

ანა ნაცვლიშვილი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი:

– დღევანდელმა სასამართლომ დაადასტურა, რომ კითხვები პასუხგაუცემელი რჩება. დღეს სასამართლომ განაჩენი გამოუცხადა პროკურატურის სრულიად არასწორ გამოძიებას. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ვინც ამ სიტუაციამდე მიიყვანა საქმე. ასევე საჭიროა, სისტემაში გატარდეს რეფორმები.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მთავარი პროკურორი გადადგა

ვინ შეცვლის ირაკლი შოთაძეს – კახა კახიშვილი თუ ვანო ზარდიაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

2012 წელს „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გამოუძიებელი გახმაურებული მკვლელობები იყო. ამ მკვლელობებს ხელისუფლების წარმომადგენლები დღემდე ახსენებენ ნაციონალებს. ამიერიდან ნაციონალებს მათთვისაც ბევრი ჰამე ექნებათ წამოსაძახებელი.

გასული წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევა, რომელმაც 2 მოზარდის სიცოცხლე შეიწირა, ბევრჯერ გახდა სერიოზული სკანდალის მიზეზი. გუშინ, 31 მაისს, სასამართლოს გამოტანილი განაჩენის შემდეგ ეს საქმე შესაძლოა „ქართული ოცნებისთვის" საბედისწერო აღმოჩნდეს.

ამ განაჩენმა წყობილებიდან მამალი ქოცებიც კი გამოიყვანა. აქამდე ისინი მოკლული დავით სარალიძის მამისთვის სოლიდარობის გამოხატვას იმ მოტივით ერიდებოდნენ, რომ მის გვერდით ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები იდგნენ. 31 მაისის განაჩენის შემდეგ კი მათმა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ უკვე აღარ აინტერესებთ, ვინ ედგა შვილმოკლულ მამას გვერდით და მათთვის მთავარი სიმართლის პოვნაა.

სოციალურ ქსელში „ოცნების" მხურვალე მხარდამჭერები მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის გადადგომასა და მის ადგილზე კახა კახიშვილის არჩევას ითხოვდნენ.

ირაკლი შოთაძეს თანამდებობის დატოვებისკენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმაც მოუწოდეს. პირველმა მისი გადადგომა ხმაურიანმა დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ მოითხოვა. მოგვიანებით მას დიმიტრი ცქიტიშვილი და ლევან კობერიძეც შეუერთდნენ.

დღის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირაკლი შოთაძე თანამდებობას დატოვებდა. მთავარი პროკურორი მართლაც გადადგა. არადა, რამდენიმე საათით ადრე არსად წასვლას არ აპირებდა. მას სრულ მხარდაჭერას უცხადებდა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და შვილმოკლულ მამას შთააგონებდა, ჩემზე და შოთაძეზე დიდი გულშემატკივარი არ გყავსო. ამის გარდა, მოუწოდებდა, გინდა თუ არა, გამოძიებას ნდობა უნდა გამოუცხადოო.

– მე, როგორც იუსტიციის მინისტრმა, მინდა, რამდენიმე რამ ვთქვა დაზარალებულების, საზოგადოების, პროკურატურის და ა.შ. გასაგონად. როდესაც ჩვენ ყველანი ერთად ვამბობთ, რომ საქმეზე გამოძიება მომდინარეობს, ეს ნიშნავს, რომ გამოძიებას ჩვენ ყველამ ნდობა უნდა გამოვუცხადოთ. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ დაზარალებულს უნდა ჰყავდეს მოკავშირე, ყველამ არა მხოლოდ მოვისმინეთ, არამედ გავიგონეთ ბატონი ზაზა სარალიძის მოწოდება, რომ ჩემ გვერდით დადექით. მინდა, მას პირველად ვუპასუხო – ბატონო ზაზა, მეც, შოთაძეც და ყველანი თქვენ გვერდით ვდგავართ. სხვაგვარად ვერ იქნება, რადგან პროკურატურა შექმნილია იმისთვის, რომ დაზარალებულის ინტერესები ბოლომდე დაიცვა, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

დაზარალებულის დამცველის დიდი თანამდებობა სასამართლოს განაჩენმა შეიწირა. სასამართლომ ერთ-ერთი ბრალდებული დავით სარალიძის მკვლელობის ნაწილში გაამართლა, ხოლო მეორე ბრალდებულს ბრალი გადაუკვალიფიცირა და მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ.

განაჩენს დიდი ხმაური მოჰყვა. სამართალდამცავებმა სასამართლოს ეზოში რამდენიმე პირი დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი ადვოკატი ლაშა ცუცქირიძე იყო. დაკავებულები რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს. ეს ზაზა სარალიძემ ხალხის პროტესტის შედეგად მიიჩნია.

– გახარია წავიდა დათმობაზე, შოთაძესაც მოუწევს წასვლა, – განაცხადა შვილმოკლულმა მამამ.

31 მაისს პოლიციას თავისი პროფესიული დღე საზეიმო ღონისძიებებით უნდა აღენიშნა. პროკურატურასთან განვითარებული მოვლენების გამო შს მინისტრმა გიორგი გახარიამ საზეიმო ღონისძიებები გააუქმა.

* * *

მთავარ პროკურატურასთან აქცია სასამართლოს განაჩენის შემდეგ დააანონსეს და 14.00 საათისთვის იქ უკვე ძალიან ბევრი ხალხი იყო შეკრებილი.

ზაზა სარალიძე საგამოძიებო უწყებას მისი შვილის მკვლელების მფარველობაში უკვე დიდი ხანია ადანაშაულებს. 31 მაისის სასამართლოს განაჩენმა, მისი თქმით, ეს ოფიციალურად დაადასტურა.

აქციის მიმდინარეობისას ირაკლი შოთაძის საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ ისინი არ ეთანხმებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას და განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ჯერ კიდევ მთავარი პროკურორის პოსტზე მყოფმა რამდენიმე უცნაური განცხადება გააკეთა, თქვა, რომ ექსპერტიზა შვეიცარიაში ჩატარდებოდა. მან ზაზა სარალიძესთან შეხვედრაზეც განაცხადა თანხმობა.

შვილმოკლული მამა შოთაძესთან შეხვედრას მხოლოდ ერთი პირობით დათანხმდა – მას მედიაც უნდა დასწრებოდა. ამ წინადადებაზე ქვეყნის მთავარმა გამომძიებელმა უარი განაცხადა.

* * *

მთავარი პროკურორის გადადგომა, სავარაუდოდ, დღის ბოლოს გადაწყდა. დღის პირველ ნახევარში „ქართული ოცნების" საპარლამენტო ფლანგს თავი საკმაოდ ყოჩაღად ეჭირა.

ხორავას ქუჩის ტრაგედიას საპარლამენტო კომისია შეისწავლის

ისინი დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნასაც არ თანხმდებოდნენ.

მერე საკითხი კენჭისყრაზე დადგა და დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნას მხარი 84-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგ არავინ წასულა. დროებითი საგამოძიებო კომისია ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას გამოიძიებს.

პროკურატურასთან შეკრებილებმა პარლამენტის ეს გადაწყვეტილება დროის გაყვანის მცდელობად შეაფასეს. ზაზა სარალიძემ და მისმა მეგობრებმა განაცხადეს, რომ ეს კომისია ამ საქმეს ობიექტურად არ გამოიძიებს.

სამაგიეროდ, ამ კომისიას ნდობას უცხადებს სკანდალური მირზა სუბელიანი. შოთაძის გადადგომამდე რამდენიმე საათით ადრე მან განაცხადა, რომ დროებით საგამოძიებო კომისიას მისცემდა ჩვენებას.

ზაზა სარალიძე და სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა რამდენიმე თვეა, რაც ამტკიცებენ, რომ მირზა სუბელიანი, რომლის შვილი და ცოლის დისშვილი სისხლიან გარჩევაში მონაწილეობდნენ, პროკურატურას სკანდალური კადრებით აშანტაჟებს.

საუბარია ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებზე. როდესაც ეს ფაქტი მოხდა, სუბელიანი სასჯელაღსრულების სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და მას ბევრ საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი.

სკანდალურ კადრებზე ზვიად კუპრავა სუბელიანის სიმამრს, ბორის კაკუბავასაც ესაუბრა. კაკუბავა ამ ფირების არსებობას არ უარყოფს.

რაც შეეხება მის სიძეს, სუბელიანი ამბობს, რომ ამ ეტაპზე საჯარო განცხადებების გაკეთებისგან თავს იკავებს, რადგან, მისი თქმით, საჯარო განცხადებებმა, შესაძლოა, ვითარება კიდევ უფრო გაამწვავოს.

– როგორც ჩემთვის ცნობილია, შეიქმნა დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია და, შესაბამისად, აღნიშნულ კომისიაზე გავცემ ყველა შეკითხვაზე პასუხს, ჩემი მხრიდან ამ ეტაპზე რაიმე საჯარო განცხადებამ შეიძლება უფრო გაამწვავოს შექმნილი მდგომარეობა, რის გამოც ბოდიშს გიხდით და საჯარო განცხადებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, – განაცხადა სუბელიანმა.

სამართლის აღსრულების პირობა მისცა საზოგადოებას პარლამენტის სპიკერმა. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ამის გარანტი მმართველი გუნდია, რომელსაც 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ქვეყანაში სამართლიანობა დაუმკვიდრებია.

მისი განმარტებით, პარლამენტში ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე საპარლამენტო საგამოძიებო კომისია იქმნება იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს კონკრეტულ კითხვებს.

– ჩვენ მოვისმინეთ ოპოზიციის გამოსვლები კომისიასთან დაკავშირებით, ჯერ ბიუროს სხდომაზე, როგორც „ევროპული საქართველოს", ასევე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, აუცილებელი იყო კომისიის შექმნა. ვხედავთ განსხვავებულ რიტორიკას, მას შემდეგ, რაც უმრავლესობამ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია კომისიასთან დაკავშირებით, ახალ პოზიციას წინ უსწრებდა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ნიკა გვარამიას განცხადება, რომელიც მოუწოდებს საზოგადოებას რადიკალიზმისკენ.

გვარამიამ ერთგვარი უნდობლობა გამოუცხადა საპარლამენტო კომისიას, რომელიც ჯერ არც არის შექმნილი. ამას მოჰყვა შემდეგ ნაციონალური მოძრაობის, „ევროპული საქართველოს" განცხადებები. ისინი თავად იყვნენ ამ საკითხის ინიციატორები, დღეს საუბრობენ იმაზე, რომ უკვე გაუგებარია, რისთვის იქმნება მათი გადმოსახედიდან ეს კონკრეტული კომისია. კომისია იქმნება იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კონკრეტულ კითხვებს და ჩვენ ძალიან უცნაური მსჯელობა გვესმის, მსჯელობა, რომლის მიხედვითაც დამნაშავეა პროკურატურა და მართალია სასამართლო, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

სპიკერის თქმითვე, კონკრეტული პოლიტიკური ძალები დღეს აპრიორი ნდობას უცხადებენ მოსამართლეს, რომელმაც განაჩენი გამოიტანა ამ საკითხზე და უნდობლობას უცხადებენ პროკურატურას, რის უკანაც კონკრეტული პოლიტიკური ნიშნები იკვეთება.

– ჩვენი ამოცანაა, ამ საქმესთან დაკავშირებით გაირკვეს ჭეშმარიტება და არა – პოლიტიკური სპეკულაციები, რისი ნიშნებიც ასე ნათლად გამოიკვეთა დღევანდელ გამოსვლაში. პოლიტიკური ინტერესი ამ პროცესების უკან აშკარად ჩანს. ვინ არის ამ პროცესების ლიდერი, ეს იკვეთება. უკვე ვახსენე მე ნიკა გვარამია. დღეს წავიკითხეთ მისი განცხადება დღევანდელ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. მან უნდობლობა გამოუცხადა კომისიას, რასაც მოჰყვა რომან გოცირიძის განცხადება. ნიკა გვარამია მოუწოდებს ხალხს ერთგვარი აჯანყებისკენ. ეს არის ნიკა გვარამიას დღევანდელი პოზიცია, შესაბამისად, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი პოზიცია, – აღნიშნა კობახიძემ.

მისივე თქმით, ნიკა გვარამია არის ის ადამიანი, რომელიც კონკრეტულად ფუთავდა 7 ნოემბრის საქმეს და კონკრეტულად ფუთავდა გირგვლიანის მკვლელობას მათი ხელისუფლებისათვის.

სპიკერის განცხადებით, საპარლამენტო კომისია უნდა შეიქმნას იმისთვის, რომ დადგინდეს ჭეშმარიტება კონკრეტულ საქმეზე. არავითარი სუბიექტური ინტერესი ხელისუფლებას ამ საქმესთან დაკავშირებით არ აქვს.

* * *

„ქართულ ოცნებას" მთავარ პროკურორებში აშკარად არ უმართლებს. შოთაძე მეორე მთავარი პროკურორია, რომელმაც სკანდალურად დატოვა პოსტი. პირველ დიდ სკანდალში ოთარ ფარცხალაძე გაეხვია, როდესაც თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფარცხალაძე წლების წინ გერმანიიდან ბოტასების ქურდობის გამო გამოადეპორტეს.

შოთაძე მთავარი პროკურორის თანამდებობაზე 2015 წლის 27 ნოემბერს აირჩიეს. ის ამ პოსტზე 6 წელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას ნაადრევად მოუხდა წასვლა.

წასვლამდე შოთაძემ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– პირველ რიგში საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ 31 მაისს მიღებული გადაწყვეტილება იყო სასამართლოს მხოლოდ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება; სამართლებრივი პროცესი აუცილებლად გაგრძელდება და მე დარწმუნებული ვარ, ყველა დამნაშავე კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს. ამისთვის ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ – საზოგადოებამ ეს უნდა იცოდეს.

ჩემთვის, როგორც საქართველოს მთავარი პროკურორისთვის, უმნიშვნელოვანესია თითოეული მოქალაქის ნდობა ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი რგოლის – პროკურატურის მიმართ.

ამ სისტემაში მუშაობის ყოველ მომენტში, მთელი ჩემი შრომა მიმართული იყო კანონის უზენაესობის დამკვიდრებისკენ და მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენ ყველა ერთად შევძლებთ დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა ჩვენს ქვეყანაში.

ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამართლიანი მართლმსაჯულება, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვნების მკვლელობას ეხება.

31 მაისს პროკურატურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომლებიც, ჩემი აზრით, უზრუნველყოფდა საქმეზე სამართლიანი განაჩენის დადგომას. პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად არ გაიზიარა ეს მტკიცებულებები და ამ ძალიან მძიმე საქმეზე სამართლიანი შედეგი ამ ეტაპზე ვერ დადგა. თუმცა, ეს პროცესი გაგრძელდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში და, ვფიქრობ, ყველა დამნაშავე სათანადოდ აგებს პასუხს კანონის წინაშე.

ერთია სამართლებრივი მხარე, მაგრამ მეორეა ადამიანური დამოკიდებულება ამ საქმის მიმართ. მინდა, პირადად მივმართო ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების მშობლებს: მე ვიყავი და ვარ თქვენ გვერდით. როგორც ქვეყნის მთავარ პროკურორს და როგორც მამას, არც თანამდებობა მიღირს თქვენი შვილების სიცოცხლედ და არც არაფერი სხვა. მინდა, იცოდეთ, რომ ყველაფერი გავაკეთე, რათა დამნაშავეებს პასუხი ეგოთ.

მჯერა, ამ ნაბიჯით მაინც დარწმუნდებით, რომ ბევრი უსაფუძვლო, ბინძური ბრალდება, რაც ჩემ მიმართ ისმოდა, მიზნად ისახავდა ჩემ მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას იმის გამო, რომ ჩემი ხელმძღვანელობით საქართველოს პროკურატურამ ბევრ ყოფილ თანამდებობის პირს, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში დაამკვიდრეს სისტემური უსამართლობა, პასუხი ვაგებინეთ კანონის წინაშე. დარწმუნებული ვარ, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ჩვენს ქვეყანაში გაგრძელდება და ბოლომდე მივა.

რადგან მინდა გჯეროდეთ იმისა, რასაც ვამბობ, დღეს ვტოვებ ჩემს თანამდებობას და, დარწმუნებული ვარ, ამ საქმეზე მართლმსაჯულება სრულად აღსრულდება. აქვე მინდა მოვუწოდო საზოგადოებას, ვისაც სურს, გაუბედურებულ მშობლებს გვერდით დაუდგეს, ყველაფერი გააკეთოს გამოძიების დასახმარებლად და ითანამშრომლოს მასთან, – ნათქვამია აწ უკვე ყოფილი მთავარი პროკურორის გამოსამშვიდობებელ განცხადებაში.

მთავარი პროკურორის მოვალეობას მამუკა ვასაძე შეასრულებს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „ოცნებამ" მთავარი პროკურორის პოსტზე, შესაძლოა, დეპუტატი ვანო ზარდიაშვილი წარადგინოს.

* * *

ირაკლი შოთაძის გადადგომა ნეგატიურ მოვლენად მიიჩნია იუსტიციის მინისტრმა. წულუკიანი ნაპროკურორალის განცხადებას სოციალურ ქსელში ეხმაურება და წერს:

– ირაკლი შოთაძის გადადგომა რომ სამართლის უზენაესობის გზაზე სიარულისთვის ცალსახა ნეგატივია, ამას დრო აჩვენებს ძალიან კარგად. მათგან განსხვავებით, ვინც ამას ითხოვდა, ვიცი, რაზე ვსაუბრობ – მიმუშავია მასთან და ვიცი. მის ამ გადაწყვეტილებას მე არ ვეთანხმები, იცის, ვუთხარი, არ გაიზიარა. მსურს, მადლობა გადავუხადო მას იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც მისი ხელმძღვანელობის პირობებში პროკურატურა იჩენდა ყველა სამართლებრივი პროგრესული იდეისა თუ რეფორმის მხარდასაჭერად. ტრაფარეტულად ჟღერს? აბა, მე მკითხეთ, შოთაძემდე პროკურატურაზე ამბებს მოგიყვებით ბევრს.

მსურს, მადლობა გადავუხადო მას ასევე იმისათვის, რაც მან რამდენიმე წუთის წინ მითხრა – გადავდგები და დაიჯერებენ, რომ მართალი ვარ. იმედი მაქვს მეც. დამოუკიდებელი სასამართლო გვინდაო. დღეს დამოუკიდებელმა მოსამართლემ პროკურორის პოზიცია ასი პროცენტით არ გაიზიარა და ამიტომ მოვითხოვეთ მთავარი პროკურორის „თავი". ეს სისტემურად არასწორია. რას ვეუბნებით პროკურორებს ამით? – ოდნავ თუ ვინმე მოგეჩვენა დამნაშავედ, დააკავე, აიძულე, მოგცეს ჩვენება, თორემ მოსამართლემ თუ ბრალდებული გაგიმართლა, საზოგადოება შენს თავს მოითხოვს?

წულუკიანი სისტემაში დარჩენილ პროკურორებსაც მიმართავს და სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს.

* * *

განცხადება გააკეთა პოლიტიკაში მეორედ მოსულმა ბიძინა ივანიშვილმაც. ქვეყნის მთავარი მეცნენე ამბობს, რომ შოთაძის გადადგომით ქვეყანაში ახალი სტანდარტი დამკვიდრდა.

– ხორავას ქუჩაზე მომხდარმა ტრაგედიამ მეც ისევე შემზარა, როგორც მთელი ქართველი საზოგადოება. თქვენთან

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ნონა ცაბაძე

კახა კუკავა: „უნდა გადადგეს მინიმუმ იუსტიციის მინისტრი“

„საქართველოში არ დამთავრდა ეს ვერავაკეობის მმართველობა“

„თავისუფალი საქართველოს" ღიდეი ჯახა ჯუჯავა „ახალ თაობასთან" ხოხავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

დღევანდელმა დღემ ძალიან ნათლად მოახდინა ლუსტრაცია და დღეს ჩვენ გვყავს ბევრად უფრო დამპალი მთავრობა, ვიდრე იყო შევარდნაძის ან სააკაშვილის დროს. ასეთი დამპალი მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში არასდროს ყოფილა.

– ბატონო კახა, თქვენ იურისტი ბრძანებით. საზოგადოება აღშფოთებულია ამ უსამართლობით. რას იტყვით სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და, საერთოდ, რა ხდება?

– ეს უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. მთელი 6 წელი ამაზე ვსაუბრობდით ჩვენ, რომ ამ უნამუსო ადამიანებმა: წულუკიანმა, ივანიშვილმა და გვენეტაძე-შოთაძემ რაც დაატრიალეს სასამართლოსა და პროკურატურაში, ეს ნელ-ნელა ხდებოდა. უბრალოდ, როგორც ხდება ხოლმე, ჩირქიანი მუწუკი რომ იბერება, იბერება და ბოლოს გასკდება, სწორედ ეს მოხდა და გასკდა.

– ანუ დიდი ხანია, რაც ეს პროცესი მიმდინარეობს?

– ეს პროცესი დღეს ნამდვილად არ დაწყებულა! სისტემა, სადაც მურუსიძე დააწინაურეს, ჩინჩალაძე დააწინაურეს, სადაც 26 მაისის ჯალათებს ირაკლი ღარიბაშვილმა ორდენები დაჰკიდა და ბიძინა ივანიშვილი მადლობას უხდიდა კოტე კუბლაშვილს, რატომ გვიკვირს, რომ ეს სისტემა ამ გადაწყვეტილებას გამოიტანდა?!

ეს უნდა მომხდარიყო! ისევე, როგორც სააკაშვილმა წაახალისა თავის დროზე პოლიცია და ეუბნებოდა, ხელი არ აგიკანკალდეთ, ისე ესროლეთ ნებისმიერს შუბლშიო და მერე მოხდა ის, რაც მოხდა. ამ სისტემაშიც ივანიშვილმაც როდესაც წაახალისა სისტემა და უთხრა, ქრთამიც აიღეთ, უკანონო გადაწყვეტილებებიც გამოიტანეთ, მთავარია, მთავრობის წინააღმდეგ ნუ წახვალთო, ეს უნდა მომხდარიყო და ეს მოხდა!

– რა აჩვენა ამ პროცესმა?

– დღევანდელმა დღემ ძალიან ნათლად მოახდინა ლუსტრაცია და დღეს ჩვენ გვყავს ბევრად უფრო დამპალი მთავრობა, ვიდრე იყო შევარდნაძის ან სააკაშვილის დროს. ასეთი დამპალი მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში არასდროს ყოფილა. ჯაბა იოსელიანის დროსაც კი, როდესაც, გასაგებია, რომ ქურდები მართავდნენ სახელმწიფოს, ყოველთვის არსებობდა რაღაც ხელშეუხებელი თემები. კომუნისტური კორუფციის დროსაც იყო, რომ ქრთამის საქმე გვარდებოდა, დაჭრის საქმე გვარდებოდა, ავარიის საქმეების ჩაწყობა ხდებოდა, მაგრამ ის, რომ მეთერთმეტეკლასელი ბავშვების მკვლელობის საქმე ჩააწყვეს, ეს რაც მე მახსოვს და შევარდნაძე რომ ცეკას მდივანი იყო, იქიდან მახსოვს საქართველო, მსგავსი არაფერი გამიგია! არასრულწლოვანი ბავშვების მკვლელობის საქმის ჩაწყობა საქართველოში მოხდა პირველად!

– სასამართლოს გადაწყვეტილებით რას გაესვა ხაზი, რომ პროკურატურამ მიჩქმალა დანაშაული და რეალურ დამნაშავეს ხელი დააფარა?

– თბილისში დაბადებული და გაზრდილი ვარ. ვინ დაიჯერებს ახლა იმას, რომ ჯგუფურ ჩხუბში მხოლოდ ორი ადამიანი იქნევდა დანას! ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, რა არის ქუჩის ჩხუბი, თავიდანვე ყველა მიხვდებოდა, რომ ეს იყო ამ ორ ბავშვზე აკიდებული. უბრალოდ, ამ ორმა ბავშვმა დაიბრალა. ასე გადაწყვიტეს, მოდი, ამ ორმა აიღოს თავის თავზე, დანარჩენები ადვოკატის ფულს გადაიხდიან და მერე ამ ორსაც გამოაგდებენ გარეთ.

– ასე შეთანხმდნენ?

– ეს იყო სქემა, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი! თორემ ჯგუფურ ჩხუბში თეორიულად ისიც გამორიცხულია, რომ სასიკვდილო ჭრილობა მხოლოდ ორის ყოფილიყო, მაგრამ ის ხომ საერთოდ გამორიცხულია, რომ ყველა ჭრილობა მხოლოდ ორმა მიაყენა. აბა დანარჩენები რას აკეთებდნენ?! 2 ჩხუბობდა და 30 აშველებდა?! ხომ თავიდანვე გასაგები იყო, რომ ეს იყო შეკერილი საქმე!

სამწუხაროდ, საქართველოში არ დამთავრდა ეს ვერავაკეობის მმართველობა. უცებ ბიჭებმა გაჩითეს იქით პროკურორი, აქეთ ადვოკატი, იქით ის პონტი, აქეთ ეს პონტი და, როგორც ახლა იტყვიან, საქმე დაალაგეს.

– თუმცა ვნახეთ, რომ პროკურატურას ყველაფერი ყირამალა დაუდგა. აქტიურად ითხოვენ მთავარი პროკურორის გადადგომას.

– არამარტო პროკურორის! პროკურორი არ არის ამ საქმეში მთავარი ჭანჭიკი. უნდა გადადგეს მინიმუმ იუსტიციის მინისტრი, მთავრობას რომ თავი დავანებოთ. თუ გვინდა, რომ ამ პროცესმა პოლიტიკური მნიშვნელობა არ შეიძინოს და აუცილებლად შეიძენს, ერთადერთი გამოსავალია, დღესვე გადადგნენ იუსტიციის მინისტრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მთავარი პროკურორი და იუსტიციის საბჭოს მთელი შემადგენლობა. ესეც საკმარისი იქნება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, თუ ახლავე არ გადადგებიან, ხვალიდან დღის წესრიგში დადგება მთელი მთავრობის გადადგომა!

– კეთდებოდა აპელირება იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა შვილმკვდარი მამის ტრაგედიას სათავისოდ იყენებს. როდესაც ასეთ უმძიმეს ტრაგედიას ეხება საქმე, ეს რამდენად სწორი აქცენტები და შეფასებებია?

– მე არ ვიცი, ზოგი რას ამბობს და ზოგი – რას. დავუშვათ, ზაზა სარალიძე არის ნაციონალი, რა, ნაციონალის შვილის მკვლელობა სხვანაირი დანაშაულია, ვიდრე ქოცის შვილის მკვლელობაა?! ამას რომ იტყვის ადამიანი, იმას, იცი, როგორ უნდა მოექცე? როგორც შუა აზიაში ექცეოდნენ მონებს, ენა უნდა ამოაჭრა დანით!

ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს იმის სათქმელად, რომ ის ნაციონალია და იმის შვილის მკვლელობა არაფერია, ვიდრე გირგვლიანის მკვლელობა! ასეთი სიბინძურე თავში აზრად შეიძლება მოუვიდეს მხოლოდ ქოცს! რა საშინელი ხალხია მოყრილი ამ „ქართულ ოცნებაში“, რომ ერთ ადამიანსაც კი პროტესტი არ აქვს.

– სასამართლოსთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი შეფასება მოვისმინეთ. ამბობენ, რომ სასამართლომ გაუძლო პროკურატურის ზეწოლას და წავიდა მის წინააღმდეგ, ზოგი ამბობს, რომ ორივე ერთი სისტემის ნაწილია. რას იტყვით თქვენ?

– სასამართლო და პროკურატურა ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი რგოლი. რომლის პასუხისმგებლობა მეტია და რომლის – ნაკლები, ამის კვლევას აზრი არ აქვს. მთავარი ის არის, რომ ბავშვები დახოცეს და მკვლელი ვერ დაადგინეს. ახლა პროკურატურამ გამოიძია ეს ცუდად, სასამართლომ დაფარა ხელი თუ იძულებული იყო, ასეთი გადაწყვეტილება გამოეტანა, ეს უკვე საქმის ტექნიკური დეტალებია და ერთმანეთში გაარკვიონ. აქ მთავარი ის არის, რომ სისტემამ არ იმუშავა და ამაზე ყველანი ვსაუბრობდით.

– ნაცებით გაავსეს პროკურატურა და შედეგიც სახეზეაო, მოვისმინეთ ასეთი შეფასებებიც.

– ნაცებით კი არ გაავსეს, არაკაცებით გაავსეს. არაკაცები არც ნაცები იყვნენ და არც ქოცები. ისინი ნაცებამდეც მუშაობდნენ, ზოგიერთი – შევარდნაძის სისტემაშიც. ნაცებმაც ეგ არაკაცები მიიღეს სისტემაში და ახლა ქოცებმაც მიიღეს. დაბადებით ნაცი კი არ იყო შოთაძე, ან მით უფრო წულუკიანი რა ნაცია?! რომელია წულუკიანზე უფრო დიდი გარეწარი ამ სისტემაში, დამისახელეთ! ნაცი და ქოცი აქ არაფერ შუაში არ არის!

შევარდნაძის დროსაც იყო ისეთი ხალხი, რომელიც ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთას. სასამართლო, პოლიცია და პროკურატურა არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანო! აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ამ საქმესა და გირგვლიანის საქმეს შორის ძალიან ბევრი პარალელია.

– რას გულისხმობთ?

– გირგვლიანის საქმეს თავიდან იძიებდა მერაბიშვილი. სანამ ქვეყანა არ დავანგრიეთ და დავაქციეთ, ცალკე საპარლამენტო ოპოზიციამ და ცალკე ტელეკომპანია იმედმა და სანამ პირდაპირი სამხილები არ გაჩნდა, რომ შს სამინისტროს თანამშრომლებს ამ საქმესთან შეხება ჰქონდათ, მანამდე ყველას გახსოვთ, რომ უნამუსო მკვლელები იძიებდნენ მკვლელობის საქმეს!

ზუსტად იგივე მოხდა ამ საქმეზე! მირზა სუბელიანი როდის ჩამოაცილეს გამოძიებას, პირველ დღეს? მეორე დღეს? თუ როდესაც ტელევიზიებში გაჟონა ინფორმაციამ, რომ მისი შვილი ამ საქმის ერთ-ერთი მონაწილე იყო. როგორ უნდა ვენდოთ შოთაძის პროკურატურას, როდესაც ამ ჩხუბის მონაწილის მამას, სუბელიანს, ევალებოდა ამ საქმის ძიება?!

– ანუ მოასწრო საქმის დალაგება და შემდეგ ჩამოსცილდა საქმეს?

– მოასწრო თუ არ მოასწრო, ამას კი არ ვუსვამ ხაზს, ხაზს იმას ვუსვამ, ჩვენ რომ ვერ გაგვეგო რაღაცა კულუარული წყაროებით, ვიღაცას სოციალურ ქსელში რომ არ დაეწერა, რომ თურმე მირზა სუბელიანი ამ საქმესთან შემხებლობაშია, შოთაძემ დაავალა ამ საქმის გამოძიება მირზა სუბელიანს!

ზუსტად იგივე მოხდა გირგვლიანის საქმეშიც. ევროსასამართლომ რაც თქვა, რომ სისტემამ ყველაფერი გააკეთა არა საქმის გამოძიებისთვის, არამედ დაფარვისთვის, ზუსტი ანალოგია გვაქვს დღესაც! სისტემა ყველაფერს აკეთებს არა ამ საქმის გამოძიებისთვის, არამედ დაფარვისთვის!

– როდესაც ამ ორ საქმეს შორის პარალელს ავლებენ, „ოცნებას“ ისტერიკა ემართება, აბსოლუტურად განსხვავებულია ეს ორი საქმე ერთმანეთისგანო.

– ეს საქმეები იმიტომაც ჰგავს ერთმანეთს, რომ ზუსტად ასეთი ისტერიკა ემართებოდათ და შოკში ვარდებოდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრებიც. გირგვლიანის საქმეს როცა ვახსენებდით, პირიდან დუჟი გადმოსდიოდათ! ამ საქმის გაგონება არ უნდოდათ. ბოლოს ჩამოყალიბდა ასეთი ფრაზა, სამარცხვინო ფრაზა, რომ იცით რა, მე ზუსტად არ ვიცი გირგვლიანის საქმის დეტალები! ყველაზე ურცხვი ნაცები ამას ამბობდნენ!

დღესაც ყველაზე ურცხვი ქოცები ვინც არიან, ისინიც ამას ამბობენ, რომ იცით, მე არ ვიცი სარალიძის საქმის დეტალები და დაველოდოთ გამოძიებას. აჰა, დაველოდეთ გამოძიებას!

– ამბობენ, რომ ეს საქმე გადაიყოლებს ამ ხელისუფლებას. როგორ დასრულდება ეს ყველაფერი?

– მე წლების წინ ვამბობდი და დღეს შემიძლია, მივცე ზუსტი გარანტია, ეს დამთავრდება იმით, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩაჯდება გლდანის ციხეში! სხვა გამოსავალი ამ ადამიანმა თავის თავს არ დაუტოვა! ეს მთავრობა გამოდგა ყველაზე ამორალური, ბავშვების მკვლელობის საქმე ჩააწყო! მეტი რა უნდა გააკეთონ?!

– შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი?

– შეიძლება ითქვას, რომ დასასრულის დასასრულიც არის!

მე არ ვიცი, ზოგი რას ამბობს და ზოგი – რას. დავუშვათ, ზაზა სარალიძე არის ნაციონალი, რა, ნაციონალის შვილის მკვლელობა სხვანაირი დანაშაულია, ვიდრე ქოცის შვილის მკვლელობაა?! ამას რომ იტყვის ადამიანი, იმას, იცი, როგორ უნდა მოექცე? როგორც შუა აზიაში ექცეოდნენ მონებს, ენა უნდა ამოაჭრა დანით!

მაკა ჩიჩუა ზაზა სარალიძეს გვერდით დაუდგა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თაკო ჩარკვიანი, პუბლიცისტი:

– ირინა ენუქიძის გვერდით, ასე, 20-30 ქალი ვიდექით და ვაპროტესტებდით გირგვლიანის საშინელ ტრაგედიას. მახსოვს, როგორ ვეხვეწებოდით ყველას, გამოდით, მაგრამ არ მოდიოდნენ. დღეს აქ ვდგავარ იმიტომ, რომ არ მინდა, კანონზე მაღლა ვინმე და რამე იდგეს ჩვენს ქვეყანაში. ისევ იმავე წრეზე ვტრიალებთ. მე მინდა, დასავლური ღირებულებების ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც კრებითი შოთაძეები და კრებითი მურუსიძეები კი არ გადაწყვეტენ, დამნაშავეები დაისაჯონ თუ არა, არამედ კანონი გადაწყვეტს.

21-ე საუკუნეა, სირცხვილია, ფეოდალურ სახელმწიფოში ხომ არ ვცხოვრობთ, სადაც ფეოდალები წყვეტდნენ, ვის, რა და როგორ?! ვალდებულებას ვგრძნობ ზაზა სარალიძის წინაშე, რომ მის გვერდით ვიდგე, როგორც მშობელი, როგორც დედა. უსამართლობის საშინელი განცდა მაქვს, არ შეიძლება, ასეთი განცდით ვცხოვრობდეთ. ორი ბავშვის მკვლელობაზეა საუბარი, ძალიან მოგვხვდა, ძალიან გაგვანადგურეს.

აქციაზე საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუაც მივიდა.

– მე ვარ იმ ადამიანების გვერდით, ვინც ამხელა ტრაგედიის მსხვერპლია, – განაცხადა მან.

– ტელევიზორთან ვიჯექი და ვეღარ ვძლებდი. ორი პატარა მყავს, მათთან ერთად ვიყავი დუშეთში და ვერ შევძელი უცებ, სპონტანურად გამოქცევა, მაგრამ ვერ გავძელი ნამდვილად. მე ვარ ამ ადამიანების გვერდით და პირველ რიგში თქვენ გვერდით, ვინც ამხელა ტრაგედიის მსხვერპლია. მე, როგორც დედა და ამ ქვეყნის მოქალაქე, ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას, – აღნიშნა მაკა ჩიჩუამ.

მან თქვა, რომ ადამიანი, რომელსაც შვილი მოუკლეს ასე ტრაგიკულად, არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში და მას აქვს ძალიან ბევრი კითხვა. მას აქვს ეჭვები, რომლებზეც პასუხი ძალიან ცინიკური და უცნაურია.

– მე არ ვარ პროფესიონალი ამ საქმის, არ ვარ პროკურორი, მაგრამ მე ვხედავ, რომ ეს უსამართლობის განცდა ემუქრება ყველას. ეს ამბავი უნდა გაირკვეს ბოლომდე, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ იცხოვროს უშფოთველ გარემოში, – განაცხადა მაკა ჩიჩუამ და აღნიშნა, რომ აქციაზე მისვლით თავისი მოქალაქეობრივი ვალი დააფიქსირა.

პროკურატურასთან გამართულ საპროტესტო აქციას მოგვიანებით 51-ე სკოლის მოსწავლეები მოთხოვნით „ერთად სამართლიანობის სადარაჯოზე“ შეუერთდნენ, საღამოს კი აქციის მონაწილეებმა პარლამენტთან გადაინაცვლეს.

ნიკოლ პაშინიანის სამცხე-ჯავახეთში ჩასვლის შემდეგ ამ რეგიონს საქართველოზე ზეწოლისთვის ვეღარ გამოიყენებენ

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში დასრულდა სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ პაშინიანის ოფიციალური ვიზიტი. მეზობელი საქართველო პირველი სახელმწიფოა, სადაც ხავერდოვანი რევოლუციის შედეგად მთავრობაში მოსული ოპოზიციის ლიდერი ჩამოვიდა.

რუსეთის პრეზიდენტს პაშინიანი სოჭში ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ადრე დაგეგმილი სამიტის ფარგლებში შეხვდა. რუსეთში მას ოფიციალური ვიზიტი არ ჰქონია.

ნიკოლ პაშინიანი სომხეთის ხელისუფლების პირველ პირებს შორის პირველი წარმომადგენელია, რომელიც სამცხე-ჯავახეთს ეწვია ბოლო 27 წლის განმავლობაში. 2011 წელს იქ ჩავიდა საქართველოში მყოფი სომეხთა კათოლიკოსი გარეგინ მეორე.

ნიკოლ პაშინიანმა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს უთხრა, რომ მათით ამაყობს. სომეხი ექსპერტების შეფასებით, ეს ნაბიჯი შეთანხმებული იყო თბილისთან. ერევანი და თბილისი დარწმუნებული არიან, რომ იქ სიტუაციას გააკონტროლებენ. ამის საფუძველს იძლევა საქართველოსა და სომხეთის ინტერესების დაახლოება.

ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთი ბოლო წლებში აღიქმებოდა ნელი მოქმედების ნაღმად. რუსეთში მოქმედი ზოგიერთი სომხური ორგანიზაციის პირით საქართველოს ემუქრებოდნენ, რომ ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში სამცხე-ჯავახეთი დამოუკიდებლობას მოითხოვდა იმ საბაბით, რომ დაეცვა სომხური მოსახლეობა ნატოს წევრი თურქი სამხედროებისგან. საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა ასეთ სეპარატისტულ მოთხოვნებს არ აყენებდა. აქაურებს ეკონომიკური და კულტურული პრობლემები აღელვებდათ.

დღეს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ წინათ ოფიციალური თბილისი და ერევანი ტრადიციულად ცდილობდნენ, არ შეემჩნიათ სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის მოთხოვნები. ეს ისეთი მგრძნობიარე და საშიში თემა იყო, რომ სომხეთის ხელისუფლებები თვითონ უკეთებდნენ ნეიტრალიზებას სპეკულაციურ განწყობებს ჯავახეთის საკითხებზე.

ექსპერტების მტკიცებით, აქაური სომხების ნაციონალისტურ განწყობებსა და სიტუაციის არევაზე ინტენსიურად მუშაობდა ორი მეზობელი სახელმწიფო. ეს ქვეყნები დაინტერესებული იყვნენ საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობების გაფუჭებით.

საქართველოსა და სომხეთს ბევრი საერთო ინტერესი აქვთ. ექსპერტების აზრით, ერევნისთვის გამოსადეგია საქართველოს გამოცდილება ევროპული ინტეგრაციისა და საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბების მიმართულებით.

ყველაზე რთულ საკითხად სახელდება სატრანსპორტო კომუნიკაციები. ახალი სატრანსპორტო დერეფნების ამოქმედება იგეგმება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გავლით. საქართველო და სომხეთი ზრდიან ტვირთბრუნვას რუსეთთან, რაც მოითხოვს ახალ გზებს.

ექსპერტების თქმით, აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნით საქართველოს გავლით ტვირთბრუნვა ბოლო წლებში შემცირებულია, საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი კი ტრანზიტით ივსება. ამ სიტუაციაში კომუნიკაციების ბლოკადა ჩრდილოეთის მხარეს საქართველოს ჩიხში აყენებს. რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანელმა ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ დაინტერესებული არიან ამ ახალი სატრანსპორტო დერეფნებით.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ნიკოლ პაშინიანის ვიზიტი საქართველოში სიმბოლურია, ვინაიდან იგი დაემთხვა სომხეთის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს. რამდენიმე დღის ინტერვალით ეს, დღე სომხეთის გარდა, საქართველომ და აზერბაიჯანმაც აღნიშნეს. 26 მაისის ღონისძიებებში მონაწილეობდა სომხეთის პრეზიდენტი არმენ სარგსიანი. გიორგი მარგველაშვილმა ნიკოლ პაშინიანს „დემოკრატიული პრემიერი“ უწოდა.

სამცხე-ჯავახეთში მისი ჩასვლით, დიდი ალბათობით, მოხდება გარდატეხა და ამ რეგიონის თემას საგარეო მოწინააღმდეგეები, პირველ რიგში, რუსეთი, საქართველოზე ზეწოლისთვის ვეღარ გამოიყენებენ.

რა ვალდებულებებისგან გათავისუფლდებიან ავიაკომპანიები

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა იგეგმება. შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადებულია.

როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის ძირითადი მიზანია ავიაკომპანიების ხელშეწყობა საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოების ჩატარებისა და საქართველოს მიმართულებით არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის დროს, რაც დაკავშირებულია შესაბამისი ნებართვის მაძიებელი იურიდიული პირის სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლებასთან.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია, კერძოდ, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ნებართვის მისაღებად განმცხადებლის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციას, კერძოდ, აღნიშნული ნორმის საფუძველზე იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები.

– კანონის აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს დამატებით ბარიერს იმ ავიაგადამზიდველისათვის, რომლებიც შესაბამისი ნებართვების – არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის და/ან საავიაციო სამუშაოების ნებართვის მისაღებად მიმართავენ ნებართვის გამცემ უწყებას – სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს. კერძოდ, ავიაკომპანიების ბარიერი და სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიღებას, მით უფრო არარეზიდენტი იურიდიული პირის მიერ, ესაჭიროება დროის ხანგრძლივი პერიოდი. შესაბამისად, მიზანშეწონილია ცვლილება იქნეს შეტანილი კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში და საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისა და საავიაციო სამუშაოების ნებართვებთან დაკავშირებით დადგინდეს გამონაკლისი, რომლის საფუძველზეც კანონის მოთხოვნა არ გავრცელდება იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც მიმართავენ სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისა და საავიაციო სამუშაოების ნებართვის მიღების მიზნით, – აღნიშნულია პროექტში.

ბპნ

თურქეთი: „სირიის მიერ სოხუმისა და ცხინვალის აღიარება მიუღებელია“

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ჰამი აქსოიმ გააკეთა განცხადება სირიის რეჟიმის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ დასმულ შეკითხვაზე:

– საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებისა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ სირიის რეჟიმის გადაწყვეტილება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის, გაეროს ქარტიისა და გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების უხეშ დარღვევას.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

მერია ვარკეთილში ოთხ „ხრუშჩოვკას“ ჩაანაცვლებს

კახა კალაძის განცხადებით, თბილისის მერია „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების პროექტს იწყებს. კალაძის თქმით, მერია ვარკეთილის მე-6 და მე-8 კვარტლებში 4 ავარიული კორპუსის სრულად ჩანაცვლებისთვის ინტერესთა გამოხატვას აცხადებს.

დედაქალაქის მერის თქმით, საწყის ეტაპზე პროექტი ვარკეთილის მესამე მასივში ოთხ ავარიულ „ხრუშჩოვკას“ შეეხება:

– ჩემს წინა საარჩევნო კამპანიაში ხშირად ვსაუბრობდი აღნიშნულ საკითხზე. ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი და არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების პროექტის განხორციელება. როგორც კი ოფიციალურად უფლებამოსილება მოგვეცა, მაშინვე შევუდექით ამ მიმართულებით სამუშაოებს, თუ რა შეიძლებოდა წარმოგვედგინა მოსახლეობისთვის. დღეს უკვე წარმოდგენილია პირველი პროექტი. მერია აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე 30 205 კვ.მ (3,2 ჰექტარი) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის განვითარების მიზნით და კერძო სექტორს ვიწვევთ, – განაცხადა კალაძემ.

კალაძის თქმით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი აღნიშნულ პროექტს თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად განახორციელებს და გარკვეული რაოდენობის ფართებს მუნიციპალიტეტს გადასცემს. ამასთან, დედაქალაქის მერის განცხადებით, პირველ ეტაპზე თანამედროვე ევროპული ტიპის ფართებს 170 ოჯახი მიიღებს.

– ამ ეტაპზე საუბარია ვარკეთილის მესამე მასივის მე-6 და მე-8 კვარტალებში მდებარე ოთხი მწვავედ ავარიული კორპუსის სრულად ჩანაცვლებაზე. ასევე, ვარკეთილის მესამე მასივისა და ზემო პლატოზე მდებარე ნაკლებად მწვავე ავარიული კორპუსების მაცხოვრებლების გადაყვანაზე; ჩვენ შეგვიძლია უკვე დავიწყოთ მოლაპარაკებები ამ ოჯახებთან და მათ ექნებათ რეალურად შესაძლებლობა იმისა, რომ ახალი, თანამედროვე ევროპული ტიპის საცხოვრებელი ფართები მიიღონ და ღირსეული საცხოვრებელი პირობები ჰქონდეთ. პირველ ეტაპზე 170 ოჯახზეა საუბარი. თუმცა ეს არ არის ერთჯერადი პროექტი. ეს არის ცოცხალი პროცესი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების პროექტი საკმაოდ მასშტაბურად განვახორციელოთ, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

* * *

თბილისის მერ კახა კალაძის ცნობით, მშენებლობისას უსაფრთხოების ნორმების დარღვევების გამო 13 ობიექტი დაჯარიმდა.

კალაძის თქმით, 21 მარტიდან ზედამხედველობის სამსახურმა საქმის წარმოება დაიწყო 47 მისამართზე, მათ შორის:

უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე 13 ობიექტი დაჯარიმდა 390 000 ლარის ოდენობით.

პროექტის დარღვევის გამო დაჯარიმდა 11 ობიექტი – სულ 160.000 ლარით.

შეჩერების დადგენილების დაუმორჩილებლობის გამო გამოიწერა 5 ჯარიმა – ჯამში, 250.000 ლარი;

სახელმწიფო მიწაზე უნებართვო მშენებლობების გამო გამოწერეს 450.000 ლარის ჯარიმა

– კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო ყველას, რომ ნუ დააყენებს კანონზე მაღლა საკუთარ ინტერესებს. ჩვენ ყველამ ერთად, ერთიანი ძალისხმევით უნდა შევძლოთ არსებული მდგომარეობის გამოსწორება, მშენებლობებზე მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება თითოეული ჩვენგანისთვის უმნიშვნელოვანესია და კიდევ ერთხელ მინდა მივმართო სამშენებლო სექტორს, რომ მათ კონკრეტულ ობიექტებზე დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოება იყოს დაცული, ასევე, მიმდებარე ტერიტორიებზე. რაც დღეს მოხდა ყიფიანის ქუჩაზე, მიუღებელია, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, ზედამხედველობის სამსახურის გაძლიერებისა და მისი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით დაწყებულია მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელება და ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები.

აეროპორტის ტერიტორიაზე 120 ნომრის მქონე სასტუმრო აშენდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა საგენტომ პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსათვის“ ფარგლებში პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ თბილისში, აეროპორტში მდებარე 12.653 კვ.მ 1.851.000 ლარად გაყიდა.

საპრივატიზებო პირობის მიხედვით, შპს „fujin silq froferTi“ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე სულ მცირე 120 ნომრის მქონე თანამედროვე სტანდარტებისა და ინფრასტრუქტურის მქონე სასტუმროს ააშენებს.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში ეს უკვე რიგით მეცხრამეტე გაყიდული ობიექტია. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჯამში გაყიდულია 53 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონება, ხოლო სასტუმროების ასაშენებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა 107 მილიონზე მეტს შეადგენს.

კომერსანტი

მერიამ 10 აპრილიდან დღემდე პარკირების დარღვევებზე 36.816 ჯარიმა გამოწერა

თბილისის მერ კახა კალაძის თქმით, მას შემდეგ, რაც თბილისში პარკირების მოწესრიგება თბილისის მერიას დაევალა, 36.816 ჯარიმა გამოწერეს.

– პარკირების წესების დარღვევაზე გამოწერილია 36.816 ჯარიმა, რაც თანხობრივად 368.160 ლარზე მეტს შეადგენს. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა 237 ავტომანქანის ევაკუაცია, ხოლო სერვისის მომხმარებლების მხრიდან შესყიდულია 20.800 საშვი და გადახდილია 520.000 ლარი. აქაც გვახსოვს, როგორი დამოკიდებულება იყო. გვეუბნებოდნენ, რომ ქალაქში კოლაფსი იქნებოდა და ჩვენ ვერ განვახორციელებდით პარკირების მენეჯმენტს, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ თბილისის პარკირების სისტემის მენეჯმენტი 10 აპრილიდან გადაიბარა.

„ქვეყანაში ეკონომიკის ზრდა არ იგრძნობა, შესაბამისად, უკმაყოფილო ადამიანიც ძალიან ბევრია“

– უნდა გაიზარდოს კავშირი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელსა და საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას შორის, – აცხადებს ეკონომიკის დოქტორი, სოსო არჩვაძე, რომელმაც რადიო კომერსანტის გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ საქართველოში უმუშევრობის პრობლემებსა და ეკონომიკურ ზრდაზე ისაუბრა.

გადაცემის მეორე სტუმარმა ფინანსისტმა ზვიად ხორგუაშვილმა კი აღნიშნა, რომ საქსტატის მონაცემებში უმუშევრობის ზრდის მაჩვენებლის მკვეთრი ცვლილება, პირველ რიგში, განპირობებულია ქალაქისკენ მიგრაციის ზრდით.

– ჩვენ შორს ვართ, მივიღოთ ისეთი სოფელ-ქალაქის გადანაწილება, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია. მიგრაცია კიდევ უფრო მეტი რომ ყოფილიყო, უმუშევრობის დონეც მეტი იქნებოდა. ქალაქსა და სოფელში უმუშევრობის დონე სხვადასხვანაირია. თუ ქალაქში 20%-იანი უმუშევრობის დონეა, სოფლად იგი 5%-მდეა. ამის მიზეზი ისაა, რომ სოფლად ცხოვრობს დაახლოებით, 650 ათასი ფერმერი, რომელთაც 1 ჰექტარი ან მეტი მიწის ფართობი აქვთ და მცირე კრიტერიუმების დამატებით ისინი თვითდასაქმებულების რიცხვს მიეკუთვნებიან, – აღნიშნა ზვიად ხორგუაშვილმა.

მისი თქმით, უმუშევრობა გაზრდილია თბილისში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში. შემცირებულია აჭარასა და ზემო სვანეთში.

– აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აჭარის შემთხვევა უპრეცედენტოა, მე არ მახსენდება რომელიმე ქვეყანა ან რეგიონი, სადაც უმუშევრობის დონე ასე სერიოზულად შემცირდა. აჭარის შემთხვევაში 30%-იანი შემცირება გვაქვს (2017 წლის მონაცემებით).

საინტერესოა ისიც, რომ ქვეყანაში ეკონომიკის ზრდა არ იგრძნობა, ვინაიდან, ქალაქში 22%-იანი უმუშევრობა არის ძალიან მაღალი დონე. შესაბამისად, უკმაყოფილო ადამიანების რაოდენობაც ძალიან ბევრია. სოფლად კი, ვინც თვითდასაქმებულია, ისინი დასაქმებულად არ თვლიან თავს და, რაც მთავარია, გაჭირვებაში ცხოვრობენ, ამიტომ ისინი ვერ გრძნობენ, იმას რომ რაღაც იცვლება ქვეყანაში, – ამბობს ხორგუაშვილი.

ზვიად ხორგუაშვილის აზრით, 5%-იანი ეკონომიკური ზრდა ქვეყნისთვის ძალიან დაბალია და ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, მისი თქმით, ეკონომიკური თავისუფლება, ძლიერი სასამართლო, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, არის ის ძირითადი საშუალებები, რითაც ქვეყანას ინვესტიციების მოზიდვა გაუადვილდება.

– ვფიქრობ, საქართველოში დასაქმება-არდასაქმება კი არა, ინვესტიციების არქონა არის მთავარი პრობლემა. ჩვენ გვჭირდება მეტი ინვესტიცია, რომელიც საჭიროებს სამუშაო ძალას. ის გაზრდის სამუშაო ადგილებს, ნებისმიერ განვითარებული ქვეყნის მაგალითი, რომ ავიღოთ, რაც უფრო მაღალია ინვესტიციების რაოდენობა, მით ნაკლებია უმუშევართა რიცხვი.

მთავრობის მთავარი მიზანი სწორედ ინვესტიციების მოზიდვა უნდა იყოს და არა დროისა და დიდი რესურსის დახარჯვა სექტორულ განვითარებაში. მაგალითად, თუ გავიხსენებთ სოფლის მეურნეობის წახალისებისთვის მთავრობის მიერ ჩადებულ 3 მილიარდ ლარს, ვნახავთ რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ სექტორში 0%-იანი ზრდაა დაფიქსირებული. მთავრობა არ არის სიმდიდრის შემქმნელი, ეს მხოლოდ კერძო სექტორს შეუძლია.

დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის დიდი ნაწილი მოდის მოხმარებაში და მცირე ნაწილი დანაზოგებში. მოხმარება 35-40%-მდეა ჩვენს ქვეყანაში, როცა სხვა ქვეყნებში 8-10%-ის ფარგლებშია მონაცემები. ამასთანავე, ინვესტიციების დათვლა არ შეიძლება დოლარში, ეს არის ანტიმეცნიერული, იგი უნდა დავითვალოთ ეკონომიკასთან მიმართებაში, – ამბობს ზვიად ხორგუაშვილი.

კომერსანტი

ეროვნული ბანკი ღია ბაზრის ინსტრუმენტით ფასიან ქაღალდებს შეიძენს

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად მუშაობს მონეტარული ინსტრუმენტებისა და ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს დახვეწასა და განვითარებაზე. ღია ბაზრის ოპერაციებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის ერთ ერთი ძირითადი ინსტრუმენტია და ის ლიკვიდობის მართვის ამოცანას ემსახურება.

ეროვნული ბანკი გასულ წლებში, სისტემაში ჭარბი ლიკვიდობის არსებობის დროს, პერიოდულად ყიდდა მის პორტფელში არსებულ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. ამჟამად ეროვნული ბანკი ლიკვიდობის მიმწოდებლის როლში გამოდის. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დაწყების შესახებ. პირველ აუქციონზე, ინსტრუმენტის განვითარების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა მეორად ბაზარზე 10 მილიონი ლარის ფასიანი ქაღალდი შეიძინა. მომავალში ოპერაციები საჭიროების შესაბამისად განხორციელდება.

აღნიშნული ინსტრუმენტის მიზანი ლარის ლიკვიდობის ეფექტიანად მართვაა. იგი ასევე ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

კომერსანტი

პაატა ბაირახტარი: „რატომ არ აღმოაჩნდათ კომპანიებს საწვავის მარაგი და რატომ მოხდა ასეთი მკვეთრი მატება?“

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცეპრეზიდენტი, პაატა ბაირახტარი, რადიო კომერსანტთან საუბრისას ამბობს, რომ საწვავზე ფასების ზრდის საფუძველი საქართველოში არ ყოფილა.

– ის, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასები იზრდება, არის ტყუილი და ცდილობენ, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ.

მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდა დაკავშირებული იყო გარკვეულ პოლიტიკურ განცხადებებთან, თუმცა უკვე 6 დღეა ბაზარზე მიმდინარეობს ფასები მკვეთრი ვარდნა. 6 დოლარით არის ნედლი ნავთობის ფასი შემცირებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ფასი იმაზე დაბლაა, ვიდრე ის ზრდის ტალღამდე იყო. მაქვს ერთი კითხვა, რატომ არ აღმოაჩნდათ კომპანიებს მარაგი და რატომ მოხდა ასეთი მკვეთრი მატება? ჩვენ დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად კომპანიებისგან ვისმენთ თავის მართლების უსუსურ მცდელობებს, – ამბობს პაატა ბაირახტარი.

კომერსანტი

საქართველოში სამედიცინო ტურიზმზე მოთხოვნა იზრდება

2018 წლის პირველ კვარტალში საქართველოში სამედიცინო და გამაჯანსაღებელი პროცედურების მიღების მიზნით სულ 13.900 უცხოელი ჩამოვიდა, რაც 61,2%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

2017 წლის პირველ კვარტალში სამედიცინო მომსახურებისთვის 8.600 უცხოელი ეწვია საქართველოს.

სამედიცინო მიზნით ჩამოსული ტურისტების რაოდენობის ზრდაზე საუბრობს ტურიზმის ადმინისტრაციის ყოფილი შეფი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელი მაია სიდამონიძე. მისი თქმით, ტურისტებში ყველაზე მოთხოვნადია სტომატოლოგია, კოსმეტოლოგია და პლასტიკური ქირურგია.

– სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით ნამდვილად წინსვლაა. ამ კუთხით, ძირითადად სტომატოლოგიური, კოსმეტოლოგიური და პლასტიკური მიმართულებაა განვითარებული. შესაბამისად, ტურისტები სწორედ აღნიშნული მოსამსახურების მისაღებად ჩამოდიან ხოლმე. ამის მიზეზია ის, რომ ერთი მხრივ, რეგიონში ბევრად უფრო შეღავათიანი ფასები გვაქვს და, მეორე მხრივ, ფასთან მიმართებით ხარისხიც მაღალია.

თუმცა, გარდა ამ სამედიცინო მომსახურებისა, ტურისტები გამაჯანსაღებელი კურორტების გამოც ჩამოდიან, რომელიც ჩვენთან საკმაოდ ბევრია. იგივე, ბორჯომი, წყალტუბო და ა.შ. – აცხადებს „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას მაია სიდამონიძე.

მისი თქმით, სამედიცინო მომსახურების მისაღებად ტურისტების ჩამოდინება, წლიდან წლამდე იზრდება. ამასთან, ვიზიტორების ძირითადი ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდანაა.

რაც შეეხება საქართველოში ზოგადად სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს, მაია სიდამონიძე ამბობს, რომ ქვეყანას ამის რესურსი აქვს. თუმცა, მიმართულება განვითარებას მოითხოვს.

– არიან ქვეყნები, რომელიც სამედიცინო ტურიზმიდან ძალიან დიდ შემოსავლებს იღებენ. ეს არის თურქეთი, ისრაელი და ა.შ. საქართველო მათ დონეზე რომ იყოს, ამისთვის პირველ რიგში სამედიცინო სფერო უნდა განვითარდეს.

ვგულისხმობ, არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ ადგილობრივ მომხმარებელში ნდობის გაზრდას. ჯერჯერობით ტურისტებისთვის მოთხოვნადი ეს ორი-სამი მიმართულებაა. მთლიანად სამედიცინო მომსახურების პოპულარიზაციისთვის თვითონ ქვეყნის შიგნით უნდა იყოს უმაღლეს დონეზე განვითარებული როგორც ინფრასტრუქტურულად, ისე ხარისხობრივად და კადრების კუთხით, – აღნიშნავს მაია სიდამონიძე.

საერთაშორისო სტომატოლოგიური ცენტრის „ISO დენტის“ დირექტორი ნუცა ზურაბიანი აცხადებს, რომ მათ კლინიკაში ბოლო 5 წელიწადში უცხოელი პაციენტების რაოდენობა 100%-ით გაზრდილია.

– ბოლო 5 წელია, რაც საქართველოში სამედიცინო მიზნით ჩამოსული ტურისტების რაოდენობა იზრდება. ამ შემთხვევაში, მე წარმოვადგენ სტომატოლოგიას და გეტყვით რომ, ჩვენთან ტურისტების ვიზიტი მთელი 100%-ითაა გაზრდილი. დღეს ადამიანები საქართველოში ჩამოდიან არა მხოლოდ დასათვალიერებლად, არამედ პირის ღრუს მოსაწესრიგებლად და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად, – აცხადებს ნუცა ზურაბიანი.

მისი თქმით, ვიზიტორების ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ასევე აშშ-დან და ინგლისიდან არიან.

– ძირითადად ჩამოდიან საუდის არაბეთიდან, კუვეიტიდან, ერაყიდან. ძალიან ბევრი ჩამოდის ამერიკიდან, მაგრამ მათი უმეტესობა არის არაამერიკელი, ემიგრანტი. ასევე ჩამოდიან ინგლისი. თუმცა, ადგილობრივი ინგლისელები დაახლოებით, 5% მოდის, დანარჩენი კი იქ მცხოვრები რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები არიან, – აღნიშნავს ნუცა ზურაბიანი.

როგორც ის „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ტურისტები ძირითადად სარგებლობენ სრული სტომატოლოგიური მომსახურებით, ყბა-სახის, ასევე პირის ღრუს ქირურგიითა და ორთოპედიით.

– იკეთებენ ასევე იმპლანტაციას. ორთოდენტია – ნაკლებად, რადგან პროცედურები 2-3 წელი გრძელდება და კლინიკაში თვეში ერთხელ მისვლას მოითხოვს, ამიტომ, ამაზე მოთხოვნა არ არის, – აცხადებს ნუცა ზურაბიანი.

სტომატოლოგიური კლინიკაში „TL დენტი“ ასევე აცხადებენ, რომ თუკი 1-2 წლის წინ ტურისტები თითქმის არ სტუმრობდნენ, ბოლო პერიოდია, მათი აქტივობა ნამდვილად შეიმჩნევა.

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1-2 წლის წინ ტურისტების მხრიდან სტომატოლოგიურ მომსახურებაზე ჩვენთან მოთხოვნა არ იყო, ბოლო პერიოდია, აქაც გამოჩნდნენ. ჩვენთან ვიზიტორების ძირითადი ნაწილი არაბები და რუსები არიან, – აცხადებენ „TL დენტში“.

ბპნ

ვინ და რა პროექტს ახორციელებდა მთაწმინდაზე, სადაც კლდე ჩამოიშალა

მთაწმინდაზე, ყიფიანის ქუჩაზე, მამადავითის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, კლდის მასა ჩამოიშალა.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განაცხადეს, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა და აღნიშნულის შესახებ ყველა შესაბამისი სამსახური ინფორმირებულია.

არსებული ინფორმაციით, მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოებს ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია აწარმოებს. „ბიზნესპრესნიუსის“ ცნობით, ეს კომპანია GDG+-ია, რომელიც ტერიტორიაზე 4-ვარსკვლავიან სასტუმროს აშენებდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ კომპანიის დირექტორ ბეჟან წაქაძესაც დაუკავშირდა, რომელმაც კომენტარი არ გააკეთა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ კონსტრუქტორებთან ჰქონდა შეხვედრა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად მერიას გასული წლის სექტემბერში მიმართა და ოქტომბერში თანხმობაც მიიღო.

– წარმოდგენილ სასტუმროს პროექტში განთავსებულია 56 ნომერი და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე ფართები. შენობა ნაკვეთის რელიეფისა და საკადასტრო საზღვრების რთული კონფიგურაციიდან გამომდინარე ტერასული ტიპისაა და გაყოფილია ორ ბლოკად ლანდშაფტური პაუზით. შენობაში მექანიკური გადაადგილება ხდება ლიფტებით და 2 კიბის უჯრედით. შენობაში განთავსებულია: რესტორანი, კაფე-ბარი, საბილიარდო. აქვს ავტო-

სადგომიც, რომლის ფართობიც 381.7 კვ.მეტრია, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

როგორც კვირისპალიტრა.გე წერს, ადგილობრივები სასტუმროს მშენებლობას აპროტესტებდნენ, შესაბამისი საჩივარი ყიფიანის ქუჩის მოსახლეობას მერიასა და სასამართლოშიც აქვს შეტანილი.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მერმა კახა კალაძემ თავის მოადგილესა და ზედამხედველობის სამსახურს ყიფიანის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის დოკუმენტაციის შესწავლა დაავალა.

– ყიფიანის ქუჩაზე, ერთ-ერთ მშენებლობაზე მოხდა კლდის ჩამოშლა, სადაც სასტუმრო შენდებოდა. მინდა დავავალო ჩემს მოადგილეს, ილია ელოშვილს, ასევე ზედამხედველობის სამსახურს, რომ დღესვე დაიბაროთ კომპანია, რომელიც აწარმოებდა სამუშაოებს, ამოსწიეთ ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც იყო წარმოდგენილი, შევისწავლოთ, რა კვლევებს ეფუძნებოდა და როგორ წარიმართა სამუშაოები. დღეს დღის ბოლომდე უნდა გვქონდეს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, – განაცხადა კალაძემ.

ბპნ

„დადგინდა, რომ დათო სარალიძის ნამდვილი მკვლელები გარეთ არიან“

რა აჩვენა სასამართლოს განაჩენმა

გუშინ, 31 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის საქმეზე ბრალდებული ორივე პირის მიმართ განაჩენი გამოიტანა, მოგვიანებით კი განცხადებაც გაავრცელა.

მასში ნათქვამია:

„2018 წლის 31 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა ხორავას ქუჩაზე მომხდარ არასრულწლოვანთა მკვლელობის საქმეზე ბრალდებული ორივე პირის მიმართ. კერძოდ, დანაშავისათვის წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობისათვის და მკვლელობის მცდელობისათვის სასამართლომ არასრულწლოვანი ბრალდებულები დამნაშავედ ცნო.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით გ.ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებაში – წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან ლევან დადუნაშვილის განზრახ მკვლელობაში, ხოლო, გ.ჯ. ცნობილი იქნა დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებაში – წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან დავით სარალიძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში.

ამავე განაჩენით, წარდგენილ ბრალდებაში გ.ბ. გ.ჯ-სთან ერთად უდანაშაულოდ იქნა ცნობილი დავით სარალიძის ჯგუფურ მკვლელობაში, ხოლო გ.ჯ მიერ ჩადენილი დანაშაული სასამართლოს მიერ გადაკვალიფიცირდა, როგორც დავით სარალიძის მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

ბრალდებულთა არასრულწლოვნობის გამო, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომები დახურული იყო. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, სასამართლომ დღეს ბრალდებულთა დამნაშავედ ცნობის შესახებ გამამტყუნებელი განაჩენი გამოაცხადა. გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ დანიშნა სასჯელის დანიშვნის სხდომა, რომელიც 2018 წლის 1 ივნისს, 10:30 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართება“.

❖ ❖ ❖

ხორავას ქუჩაზე მოკლული ლევან დადუნაშვილის დედა სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილო დარჩა.

ნათია საყვარელიძის თქმით, ის ზაზა სარალიძის გვერდით იდგება.

– არ ვიცი, უნდა ვიფიქრო, რა ვქნათ ერთად მე და ზაზა სარალიძემ. რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, იქნებ როგორმე დავაწყნარო. დათოსთან მიმართებაში ვიღაც უნდა დაისაჯოს ფაქტია, აღარ ვიცი, რა ვთქვა, – განაცხადა ნათია საყვარელიძემ.

❖ ❖ ❖

დავით სარალიძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ მოზარდს სასამართლომ მუხლი გადაუკვალიფიცირა და ის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ. ბრალდებულის ადვოკატის თქმით, დანაშაულის რეალურად ჩამდენი პირები, ვინც ნამდვილად განახორციელეს დავით სარალიძის განზრახ მკვლელობა, არ არიან პასუხისგებაში მიცემული. სასამართლომ კი ვერ გაბედა, რომ სრულად გაეზიარებინა დაცვის პოზიცია:

– განაჩენი ჩემთვის მოსალოდნელი იყო იმ კუთხით, რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაში, სასამართლო იტყოდა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არ მოუკლავს დავით სარალიძე. ფაქტობრივად სასამართლომ დაადასტურა ჩვენი პოზიცია. ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში სასამართლომ გაიზიარა ჩვენი პოზიცია. დანაშაულის რეალურად ჩამდენი პირები, ვინც ნამდვილად განახორციელეს დავით სარალიძის განზრახ მკვლელობა, არ არიან პასუხისგებაში მიცემული.

ბრალდების მხარე აპელირებდა, რომ თითქოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა განახორციელა ეს დანაშაული და არა სხვა პირებმა. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს მოტივაცია და ბიძგი, ვალდებულება იმისა, რომ საგამოძიებო ორგანომ შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლებიც ნამდვილად არსებობს, პასუხისგებაში მისცეს რეალური დამნაშავეები და არ შეეცადოს, რომ სხვა ადამიანების ქმედება მიაწეროს იმ

პირს, რომელსაც ეს არ ჩაუდენია. სასამართლომ ვერ გაბედა სრულად გაზიარება დაცვის პოზიცია, იმიტომ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არა მარტო განზრახ მკვლელობა არ ჩაუდენია, ამის მცდელობაც არ ჰქონია. მე მაინტერესებს როგორ დაასაბუთებს ამას სასამართლო. პროკურატურა ჩიხში შესულია, – განაცხადა ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ.

ადვოკატი ირაკლი ჩომახაშვილი კი ამბობს, რომ განაჩენმა აჩვენა, დაუდგენელია, ვინ მიაყენა დავით სარალიძეს სასიკვდილო ჭრილობა:

– ამ განაჩენით სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ არ არის ცნობილი, ვინ მოკლა დავით სარალიძე, არ ვიცით, ვინ მიაყენა დავით სარალიძეს სასიკვდილო ჭრილობები. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ 5-ვე შემავალი ჭრილობიდან არცერთი არ არის ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფისგან მიყენებული, ასევე გამართლდა მეორე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანიც, შესაბამისად, დაუდგენელია, ვინ მიაყენა დავით სარალიძეს სასიკვდილო ჭრილობა. შესაბამისად, გამოძიება არ არის სრულად და ობიექტურად ნაწარმოები.

დადგინდა, რომ პროკურატურას არ ჰქონდა სწორი პოზიცია, დადგინდა, რომ ნამდვილი მკვლელები გარეთ არიან. ახლა უნდა გადაწყვიტოს პროკურატურამ, რა ღონისძიებებს გაატარებს იმ გამომძიებლებისა და პროკურორების მიმართ, რომლებმაც გააყალბეს მტკიცებულებები, – განაცხადა ირაკლი ჩომახაშვილმა.

პოლიციამ კრიპტოვალუტით მოვაჭრე „ეფიქს ჯგუფი“ დალუქა

ხელმძღვანელობა დაკითხვაზე გადაიყვანეს

30 მაისს სამართალდამცველებმა მოულოდნელი ოპერაცია ჩაატარეს თბილისში – ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე „ეფიქს ჯგუფის“ ოფისში პოლიცია შევიდა.

საბროკერო კომპანია კრიპტოვალუტით ვაჭრობს. ამ ეტაპზე „ეფიქს ჯგუფი“ დახურულია.

ოფისიდან ამოღებულია დოკუმენტაცია და კომპიუტერული ტექნიკა. როგორც ცნობილია, კომპანიის ხელმძღვანელები დაკითხვაზე არიან გადაყვანილები.

ედება თუ არა ვინმეს ბრალი ოფიციალურად, ჯერჯერობით უცნობია. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება არ გაუკეთებია.

„კურიერისთვის“ ცნობილია, რომ საბროკერო კომპანიაში სამართალდამცველები სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმის გამოძიების ფარგლებში შევიდნენ.

არაოფიციალური ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე შესაძლოა, დიდი რაოდენობით ფულის გათეთრებას ეხებოდეს.

საგამოძიებო მოქმედებების დროს ადგილზე მივიდნენ ის ადამიანები, ვინც საბროკერო კომპანიით სარგებლობს. მათი თქმით, კომპანიის დახურვით ისინი ზარალდებიან.

– არ შეიძლება, კომპანია ერთ დღეში იხურებოდეს და ვიღაცებს პურის ფული აღარ რჩებოდეთ. ეს ისეთი საქმიანობაა ზოგადად, რომ დაზარალებული ყველა ვარიანტში ვიღაც დარჩება, – განაცხადა ერთ-ერთმა პირმა.

უბნის ინსპექტორმა საყვარელი დაჭრა, მისი ყოფილი ქმარი კი მოკლა

სროლა წერეთელზე

გუშინ, 31 მაისს, წერეთლის გამზირზე მკვლელობა მოხდა. შემთხვევის შედეგად მოკლულია მამაკაცი, დაჭრილია ქალი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაჭრილი ქალის მეზობელმა განუცხადა, მკვლელობა ქალის ბინაში მოხდა, სადაც ის ქირით ცხოვრობდა. მისივე ინფორმაციით, ქალი სახლში მეგობარ მამაკაცთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც მასთან სახლში მივიდა მისი ყოფილი მეუღლე.

მეუღლემ მას კარების გაღება მოსთხოვა, თუმცა ქალმა ყოფილ მეუღლეს კარი არ გაუღო. კაცმა ადგილზე გამოიძახა ბინის მეპატრონე. ასევე ადგილზე გამოძახებული იყო საპატრულო პოლიცია.

მეზობლის თქმით, შემთხვევა პატრულის თანდასწრებით მოხდა.

– ქალბატონი ჩემი მეზობელია. მე არაფერს შევსწრებივარ. თუმცა, როგორც გავიგე, შემთხვევა პატრულის თანდასწრებით მოხდა. ეს ქალბატონი ყოფილ ქმარს კარებს არ უღებდა, რა დროსაც კაცმა ბინის მეპატრონეს დაურეკა. ასევე გამოძახებული იყო პატრული. ყოფილი ქმარი მათთან ერთად შევიდა სახლში.

ამ დროს კი ქალბატონი მეგობარ მამაკაცთან ერთად იმყოფებოდა. ყოფილმა ქმარმა ქალბატონის მეგობარ მამაკაცს უთხრა, რომ მასთან არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა, უბრალოდ, ბავშვის მამა ვარ და ბავშვის სანახავად მოვედიო. როგორც ვიცი, ამ დროს მოხდა ყველაფერი. დაჭრილია ქალბატონი და ის საავადმყოფოშია გადაყვანილი, ხოლო გასროლის შედეგად მისი ყოფილი ქმარი გარდაიცვალა. ქალის მეგობარი მამაკაცი კი, როგორც გავიგე, არის უბნის ინსპექტორი, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მეზობელმა.

ქალის მეგობარმა კაცმა იარაღიდან გაისროლა, მან ესროლა ჯერ ყოფილ ქმარს და შემდეგ – ქალს. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეზობლები ყვებიან, რომ სროლა პატრულის თანდასწრებით მოხდა, თუმცა მისი შეჩერება პატრულის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებული ალექსანდრე ჯინჭველაშვილია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 11-პრიმა-19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ამასთან შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველებმა ერთი პირი ცხელ დააკავეს.

მთავარი პროკურორი გადადგა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ერთად მეც მძაფრი ინტერესით ვაკვირდებოდი სამართლებრივი პროცესის მიმდინარეობას და დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საქმეზე მართლმსაჯულება სრულად და დროულად აღსრულდებოდა. მე პირადად ვიცნობ ირაკლი შოთაძეს და დარწმუნებული ვარ მის პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაში. მჯეროდა და მჯერა, რომ ირაკლი და მისი უწყება ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ყველა დამნაშავეს ადეკვატურად ეგო პასუხი კანონის წინაშე.

სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ გამოძიების სანდოობა დაზარალებულისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან ეჭვის ქვეშ დადგა, რასაც მთავარი პროკურორის მხრიდან მყისიერად მოჰყვა უკიდურესად ღირსეული, უმაღლესი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობით გამსჭვალული ნაბიჯი. ირაკლი შოთაძის გადადგომა არის ის სრულიად ახალი სტანდარტი, რომლის დამკვიდრება იყო „ქართული ოცნების“ თაოსნობით განხორციელებული 2012 წლის სახალხო რევოლუციის მთავარი მიზანი. კიდევ ერთხელ მინდა მივუსამძიმრო დაზარალებულ ოჯახებს და გამოვთქვა რწმენა, რომ მართლმსაჯულება ყოველმიზეზგარეშე აღსრულდება, – ნათქვამია ივანიშვილის განცხადებაში.

❖ ❖ ❖

მთავარი პროკურორის გადადგომას ოპოზიცია მიესალმება, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს გამოსავალი არ არის.

– შექმნილ ვითარებაში ირაკლი შოთაძის გადადგომა გამოსავალი არ არის. ეს არის პირველი ნაბიჯი, ისევე, როგორც პირველი ნაბიჯი იყო პარლამენტში კომისიის შექმნა, რაც ჩვენი მოთხოვნა იყო. საბოლოო ამოცანა იმ ადამიანების დასჯაა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, შემდეგ ხელი დააფარეს და მტკიცებულებები გააყალბეს.

საპარლამენტო საგამოძიებო კომისია ერთ-ერთი ინსტრუმენტი იქნება, მაგრამ საზოგადოებრივი ზეწოლა აუცილებელი და მნიშვნელოვანია, – განაცხადა პარლამენტის ვიცესპიკერმა, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ.

შოთაძის გადადგომა საკმარისად არ მიაჩნია ზაზა სარალიძეს. შვილმოკლული მამა ამბობს, რომ ყოფილი მთავარი პროკურორი პასუხისგებაში უნდა მიეცეს.

ზაზა სარალიძის აზრით, ციხეში უნდა წავიდეს მირზა სუბელიანიც, ამბობს, რომ ბრძოლას მანამდე გააგრძელებს, ვიდრე ყველა დამნაშავე არ დაისჯება.

მთავარი პროკურორის გადადგომას მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი. ის ამბობს, რომ ყველა კითხვას პასუხს საპარლამენტო კომისია გასცემს.

– ამ შემთხვევაში ეს მეორეხარისხოვანი საკითხია. გაცილებით მძიმე ადამიანურ ტრაგედიასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ერთი კონკრეტული ადამიანის თანამდებობიდან გადადგომაა. კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს და კომისია ამის საუკეთესო საშუალებაა, – განაცხადა ვოლსკიმ.

კიმ ჩენ ინი სერგეი ლავროვს შეხვდა

გუშინ, 31 მაისს, ჩრდილოეთ კორეაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს შეხვდა.

ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის საგარეო უწყება ავრცელებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აზუსტებს, თუ რა საკითხები განიხილეს მხარეებმა შეხვედრის დროს. აღსანიშნავია, რომ ეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ვიზიტია ჩრდილოეთ კორეაში 2009 წლიდან.

– ჩრდილოეთ კორეა აფასებს იმას, რომ რუსეთი აშშ-ის დომინირებას უპირისპირდება, – განაცხადა კიმ ჩენ ინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ სერგეი ლავროვის ვიზიტი იმ დროს ხდება, როდესაც „სიტუაცია კორეის ნახევარკუნძულზე მოლაპარაკებების მიმართულებით იცვლება“.

სერგეი ლავროვი მაიკ პომპეოს დაუკავშირდა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა სირია და უკრაინა იყო.

– ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ რუსეთ-აშშ-ის პოზიციები ერთმანეთთან დაგვეახლოებინა, – თქვა ლავროვმა.

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აშშ-სთან ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ მიისწრაფვის. პომპეომ ამაზე მიუგო, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. ამავე დროს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჩამოთვალა ის პირობები, რომელთა შესრულების შემდეგ აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელია: რუსეთმა უნდა განახორციელოს ქმედითი ზომები უკრაინასა და სირიაში მშვიდობის აღსადგენად.

ეს იყო მაიკ პომპეოს პირველი საუბარი ლავროვთან სახელმწიფო მდივნის რანგში.

პომპეოსთან საუბრის შემდეგ ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებებში არ ჩაერევა.

– ჩვენ უფლება არ გვაქვს, ჩავერიოთ, – ამბობს ლავროვი.

ევროპაში გაზპრომის აქტივების დაპატიმრებები დაიწყო

როგორც ცნობილია, გაზპრომმა უარი განაცხადა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებასა და უკრაინულ კომპანია ნავთობგაზისათვის კომპენსაციის გადახდაზე.

პასუხად ევროპაში გაზპრომის აქტივების დაპატიმრება დაიწყო. ის იმ კომპანიებზეც გავრცელდა, რომლებიც პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 1“-ისა და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის განხორციელებაში არიან ჩაბმულნი.

– ევროპის გარკვეული ძალებისათვის ეს სიგნალია, რათა ჩაფიქრდნენ, ღირს თუ არა ამ პროექტების განხორციელება, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

აშშ ირანის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს

აშშ-ის იუსტიციის მინისტრმა მნუჩინმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ირანის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს შემოიღებს.

– სანქციები იმ კომპანიებსა თუ კერძო პირებზე გავრცელდება, რომლებიც ხელისუფლებასთან ახლო ურთიერთობაში არიან, – თქვა მნიჩინმა.

ირანის პრეზიდენტმა პასუხად განაცხადა, რომ აშშ-ს ირანში ამჟამად არსებული წყობილების შეცვლა სურს.

სახელმწიფო მდივანმა პომპეომ ეს უარყო.

– ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვინდა, რომ ირანმა აგრესია შეწყვიტოს და ცივილიზებული წესებით ითამაშოს, – ამბობს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი.

კიმ ჩენ ინის ემისარი ვაშინგტონში ჩავიდა

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინის მარჯვენა ხელი ხენ ენ ჩხოლი ვაშინგტონში ჩავიდა. ის ჩრდილოკორეელი მაღალი რანგის პირველი ჩინოვნიკია, რომელიც უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში აშშ-ს ესტუმრა.

ხენ ენ ჩხოლი აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ თეთრ სახლში განაცხადეს, რომ ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრის იმედი აქვთ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ამერიკელს ლატარიაში კენტი რიცხვების სიყვარულმა მოაგებინა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა, რომელმაც ლატარიაში ორი მილიონი დოლარი მოიგო, საკუთარი წარმატება კენტი რიცხვების სიყვარულით ახსნა.

– მე მომენტალური ლატარია მიყვარს, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ კენტნომრიან ბილეთებს ვყიდულობ, – ამტკიცებს ახალგაზრდა მამაკაცი.

მისი თქმით, მან ლატარიის ბილეთი ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შენიშნა და გამყიდველს მისი ნომერი ჰკითხა. როდესაც მან უპასუხა, რომ „21“ ნომერი იყო, მან დაუყოვნებლივ იყიდა და იქვე გადაფხიკა დამცავი ფენა.

– როდესაც მივხვდი, რომ მოვიგე, ჯერ გამყიდველს გადავხედე, შემდეგ ჩემთან ერთად მყოფ ახლობელს და საკუთარი მანქანისკენ გავვარდი, – იხსენებს იღბლიანი ახალგაზრდა.

ლატარიის 22 წლის გამარჯვებული ახალი ავტომობილის ყიდვას გეგმავს, ხოლო დანარჩენი თანხის ინვესტირებას აპირებს.

– ასეთი მოგება ჩემ ასაკში უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა, თუ, რა თქმა უნდა, მე მას გონივრულად გამოვიყენებ. სწორედ ასეც ვაპირებ, რომ მოვიქცე, – აღნიშნა ამერიკელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

ქევხიშვილი დიალოგისთვის მზად არის, საღარაძე წასვლას ურჩევს

ძიუდოისტებსა და ფედერაციის პრეზიდენტს შორის კვლავ დაძაბული ვითარებაა. ძიუდოისტები პოზიციის შეცვლას არ აპირებენ, ფედერაციის პრეზიდენტი – გადადგომას.

დავით ქევხიშვილმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნავს, რომ მზად არის დიალოგისთვის, თუმცა, როგორც ჩანს – დახურულ კარს მიღმა, რასაც სპორტსმენები არ თანხმდებიან.

დავით ქევხიშვილი:

– მას შემდეგ, რაც კომისიამ ოფიციალურად დაასრულა მუშაობა, მინდა ორიოდე სიტყვით კვლავ შევეხო არსებულ მდგომარეობას. არაერთხელ აღმინიშნავს და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ პირველ რიგში ჩვენ საკითხს ვუყურებთ და პრობლემას ვხედავთ თავად ფაქტში და არა იმაში, ჩვენ შორის ვინ არის მტყუან-მართალი. ჩემთვის ეს სიმართლე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირობითია. მთავარია ხვალინდელი დღე და გამოსავლის მონახვა, რომელსაც კომპრომისის გზით უნდა მივაღწიოთ და არა პრინციპით – ან ყველაფერი, ან არაფერი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ კვლავაც მზად ვართ შედეგზე ორიენტირებული დიალოგისთვის, რა დროსაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი წინადადების განხილვა, გარდა იმისა, რომელმაც შეიძლება ავტორიტეტი შეულახოს ფედერაციას, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს.

ძიუდოისტებს გვერდით უდგას ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე, თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ევროპის ორგზის ჩემპიონი გურამ საღარაძე, რომელიც ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს თანამდებობის დატოვებას ურჩევს.

გურამ საღარაძე:

– ჭიდაობა, არა აქვს მნიშვნელობა ეს ძიუდო ინება, თავისუფალი თუ ბერძნულ-რომაული, არის ჩემი სისხლი და ხორცი. მე ჭიდაობით ვასახელე სამშობლო. დავით ქევხიშვილს ამ სახელოვან ბიჭებთან ძალიან ბევრი რამ შეეშალა. მართალია, თავიდან კარგად დაიწყო და ყველა გვერდით ედგა, თუმცა მას, როგორც ჩანს, ეშმაკი შეაჯდა მხრებზე და გადაიყვანა სხვა გზაზე. ამან კი აქამდე მოგვიყვანა. სწორედ ამიტომ უნდა გადადგეს. საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი ნეპოტიზმსა და კორუფციას. არა მგონია, ქვეყნისთვის არაფერი გაგვეკეთებინოს და ჩვენს სიტყვას ფასი არ ჰქონდეს. როდესაც ამდენი ხალხი შენ წინააღმდეგ გამოდის, იქ რაღაც შეგეშალა – ერთი კაცის წინააღმდეგ ყველა მტყუანი ვერ იქნება.

უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკას ბოლომდე ებრძოლნენ

საქართველო-სამხრეთ აფრიკა 27:33

უმცროსი ბორჯღალოსნები მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ მატჩში მაგრად დაუდგნენ მრისხანე სამხრეთ აფრიკას, მეტიც, 3 ლელო გაუტანეს, ჯამში, 27 ქულა მოაგროვეს და ბონუსქულასაც გამოჰკრეს ხელი – 27:33.

ეს უკვე აღიარებაა. ბუქმეიქერები მატჩის წინ აფრიკელთა 35-ქულიან მოგებას ვარაუდობდნენ, ამის ფონზე ბონუსის აღება კი მსოფლიოს კიდევ ერთხელ აალაპარაკებს. ასეთ შედეგს ქართველი 20-წლამდელებისგან თითქმის არავინ ელოდა. თუმცა მათ დაამტკიცეს, რომ ქართული რაგბი აღმავლობის გზაზე დგას და ბორჯღალოსნებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ.

სატურნირო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ბონუსქულა რომ აიღეს, რადგან ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ შესაძლოა ბევრი რამის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

საწყისი წუთების მღელვარების გამო დაახლოებით 10 წუთი ბურთზე კონტროლის დამყარება გაგვიჭირდა, თითქმის მთელი დრო დაცვაში გავატარეთ და აფრიკელებმა ლელოთი ანგარიში გახსნეს. უმცროსი ბორჯღალოსნების პასუხმა არ დააგვიანა და ლაშა ლომიძემ საკუთარი დაწყებული იერიში ლელოთი დაასრულა. მან მეტოქე ცრუ მოძრაობაზე დაიჭირა, ცენტრალურ ხაზთან უპირატესობა შექმნა და ბურთი სანდრო სვანიძეს გაატანა, რომელმაც თითქმის 40 მეტრი ირბინა. 5-მეტრიან წყვეტილთან საქმეში მორკინალები ჩაერთვნენ, მერე თედო აბჟანდაძემ ბურთი ფეხით ლელოში შეაცურა და მას ლომიძე მიჰყვა.

გელა აფრასიძემ გარდასახვით დაგვაწინაურა, მე-17 წუთზე ჩვენმა შერკინებამ ჯარიმა გამოიმუშავა და აფრასიძემ 40 მეტრიდან გაიტანა – 10:5. გარკვეული დროით მეტოქე წნეხში მოვაქციეთ, თუმცა აფრიკა მალევე გამოერკვა და 13-წუთიანი ჩამორჩენის შემდეგ უპირატესობა დაიბრუნა. უმცროსი ბორჯღალოსნები ლელოდან 5 მეტრში მოლში არ შევიდნენ და მეტოქემ ამით ისარგებლა.

და მაინც, ტაიმის მიწურულს აგრესიული დაცვით სამხრეთ აფრიკა მისსავე ნახევარზე შევავიწროვეთ, დემე თაფლაძემ პასი ჩაჭრა და ლელო ძელებშუა გაიტანა, ხოლო აფრასიძემ ტაიმის ანგარიში დააფიქსირა – 17:12 საქართველოს სასარგებლოდ!

ეს უკვე ხმაურიანი განაცხადი იყო. დარჩენილი 40 წუთი ასეთივე აგრესიულობით უნდა გვეთამაშა, მეტოქე წნეხში გვყოლოდა და სენსაციური გამარჯვებაც მოვიდოდა, მაგრამ მეტოქე ხომ სამხრეთ აფრიკა იყო...

მეორე ტაიმში აფრიკელები უმაღლეს სიჩქარეებზე ათამაშდნენ და ჩვენი შეცდომებით ორჯერ ისარგებლეს. პირველ ჯერზე ბექა მამუკაშვილს ლელოს ხაზთან ფეხით თამაშისას დაუფარეს, მერე კი ოთარ ძაგნიძე აფრიკელ ფლანკერს ბურთში ჩაუჯდა და არ დაამიწებინა, თუმცა 5-მეტრიან შერკინებას ლელო მოჰყვა, ორივე გარდასახვა ზუსტი იყო და მეტოქის უპირატესობა 9 ქულამდე გაიზარდა.

უმცროსი ბორჯღალოსნები არ გატყდნენ, საპასუხოდ თანმიმდევრულად შეუტიეს, ჯარიმა გამოიმუშავეს და არცთუ იოლი პოზიციიდან აფრასიძემ თამაშში დაგვაბრუნა. სამწუხაროდ, შეტევებში შეცდომები მოგვდიოდა, რითაც მეტოქე სარგებლობდა და ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში მორიგი ლელო მივიღეთ – 20:33.

სამხრეთ აფრიკამ ამის მერეც გვიტია, ორჯერ კიდევ დადო ლელო, მაგრამ ვიდეორეფერემ ორივე გააუქმა, თუმცა, პირველის ჩათვლა შეიძლებოდა. დაცვაში მსხდომნი შანსს ველოდებოდით. ეს შანსი 69-ე წუთზე გაჩნდა. მამუკაშვილმა ტაიმის დასაწყისში დაშვებული შეცდომა გამოასწორა, ცრუ მოძრაობით პირველი მბოჭავი ჩამოიცილა, დაახლოებით 15 მეტრი ირბინა და ბურთს ფეხი დაჰკრა. უბურთოზე თამაშისთვის აფრიკელთა ბურჯი სინბინით დაისაჯა, საქართველომ კი კარში დარტყმას ლელოზე თამაში არჩია.

22-თან აგორებული მოლის შემდეგ მორკინალებმა რამდენჯერმე დაარტყეს, ფაზები ერთმანეთს მიება და აბჟანდაძემ კარის წინ სივრცე მონახა. ის ზედ ლელოსთან შეაჩერეს, ლუკა დვალიშვილი არ დაიბნა და სამხრეთ აფრიკას მესამე ლელო გაუტანა, ხოლო აბჟანდაძემ ზუსტი გარდასახვით სხვაობა კვლავ ერთი გარდასახული ლელოს ფარგლებში დააბრუნა.

უფრო დიდი გმირობისთვის 8 წუთი რჩებოდა, თუმცა სამხრეთ აფრიკამ შეძლო თამაშის ჩვენს ნახევარზე გადმოტანა, დროის გაყვანა და ბურთის აუტში დარტყმით 33:27 გამარჯვება. ილია მაისურაძის, ლადო კილასონიასა და ზურაბ ამონაშვილის გუნდმა 20-წლამდელთა ჩემპიონატის შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორთან ბონუსქულა აიღო და 3 ივნისს მასპინძელ საფრანგეთს ბეზიეში შეერკინება.

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

შედეგები

30 მაისი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

არგენტინა-ჰაიტი	4:0
პანამა-ჩრ.ირლანდია	0:0
პერუ-შოტლანდია	2:0
იაპონია-განა	0:2
ავსტრია-რუსეთი	1:0
ესტონეთი-ლიეტუვა	2:0

დინამო ჩემპიონია, ბლეიზეკი — საუკეთესო

ქუთაისი-დინამო 69:77

(23:21, 16:20, 15:14, 15:22)

თბილისის დინამო საქართველოს ჩემპიონია. ირაკლი ხოშტარიას, მამუკა ტურაშვილისა და მარკო მინიჩის გაწვრთნილმა დინამოელებმა ქუთაისის სპორტის სასახლეში ფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტი მატჩი მოიგეს და სუპერლიგის შარშან მოგებული ჩემპიონობა შეინარჩუნეს.

დინამომ მატჩი დაძაბულ ბრძოლაში ადგილობრივ გულშემატკივართა უდიდესი წნეხის ქვეშ მოიგო. ქუთაისელმა ქომაგმა სპორტის სასახლე პირთამდე შეავსო. მაყურებელი ფეხზეც იდგა, ბავშვები კი მეორე იარუსის იატაკზე ისხდნენ.

შეხვედრა ისეთი გამოვიდა, ფინალის გადამწყვეტ მატჩს რომ შეეფერებოდა. პირველიდან ბოლო წუთამდე დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. პირველ პერიოდში უმეტესად ქუთაისელები იგებდნენ, რომლებიც სამწამიან ზონაში კომფორტულად გრძნობდნენ თავს, დინამო კი შორი სროლებით გადიოდა ფონს. მიხეილ ბერიშვილისა და ლაველ ბოიდის სამქულიანებს მასპინძლებმა ბექა ბექაურისა და დეჟუან რაითის ზუსტი სროლები დაუპირისპირეს და პირველი ათწუთეული ქუთაისმა 23:21 მოიგო.

თამაში თანაბრად გაგრძელდა. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი ლიდერობის მოპოვებას. მეორე პერიოდი დინამოელებმა ოდნავ უკეთესად ჩაატარეს და დიდ შესვენებაზე ორქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 41:39. ვითარება მესამე პერიოდიდან შეიცვალა. დინამომ მწყობრი დაცვის ხარჯზე მასპინძელთა შეტევების შეჩერება მოახერხა და კომბინირებული შეტევებით გაქცევა მოაწყო და პერიოდის დასრულებამდე 6 წუთით ადრე 52:44 დაწინაურდა.

აქ კი ქუთაისის ჯერი დადგა. ჯონათან ლის, დეჟუან რაითისა და გიორგი ბარბაქაძის მექანიკურობით მასპინძლებმა 10:0 გაქცევა მოაწყვეს და 54:52 გალიდერდნენ, თუმცა მესამე პერიოდის დარჩენილ 2 წუთში დინამოელებმა წონასწორობა შეინარჩუნეს და ბოლო 2-წუთიან შესვენებაზე ერთ ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 55:54.

ბოლო პერიოდში მოვლენები დაძაბულად განვითარდა. ჩემპიონი წაგების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დინამოელები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩნენ, როცა ირაკლი ხოშტარიამ მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებისთვის მეორე ტექნიკური ჯარიმა დაიმსახურა და დარბაზის დატოვება მოუხდა. ეს მოხდა შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე, როცა ქუთაისი ლიდერობდა და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გამარჯვებამდე მცირედი აკლდა.

მასპინძლებმა ბოლო ნაბიჯი ვეღარ გადადგეს, რაშიც დინამოელთა თავგანწირვამ შეუშალა ხელი. მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილი თბილისელები გაერთიანდნენ და ქუთაისელებს ბრძოლის მაგალითი უჩვენეს. კაელ ტურპინისა და ლაველ ბოიდის ქულებს მიხეილ ბერიშვილმა სამქულიანი დაურთო და შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე დინამოს უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. დინამოელები გამარჯვებამდე და მორიგ, არსებობის ისტორიაში მე-5 ჩემპიონობამდე მივიდნენ.

გამარჯვებულებს 27 ქულითა და 11 მოხსნით კაელ ტურპინმა ულიდერა. 17 ქულა მოაგროვა ლაველ ბოიდმა, 13 – ილია ლონდარიძემ, ხოლო მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე 11 ქულა, 9 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. ქუთაისში 20 ქულით საუკეთესო იყო დეჟუარ რაითი, ხოლო გიორგი ბარბაქაძემ მასპინძლებს 12 ქულა შესძინა.

მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. მეორეადგილოსანი ქუთაისელები ვერცხლის მედლებით ვეტერანმა კალათბურთელებმა ანზორ საკანდელიძემ და გივი ბიჭიაშვილმა დააჯილდოვეს. ჩემპიონ დინამოელებს ოქროს მედლები მსოფლიოს ჩემპიონმა ნიკოლოზ დერიუგინმა გადასცა. დაბოლოს, დინამოს კაპიტან ილია ლონდარიძეს საჩემპიონო თასი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა გადასცა.

სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელის ტიტული ადამ ბლეიზეკმა დაისაკუთრა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ჟურნალისტებს, მწვრთნელებსა და მატჩის კომისრებს შორის გამოკითხვა ჩაატარა და საბოლოო შედეგებით სეზონის საუკეთესო სამი კალათბურთელი დასახელდა.

გამოკითხულები 3 საუკეთესო კალათბურთელს ასახელებდნენ. საბოლოოდ, უმაღლესი, 55 ქულა რუსთაველთა 25 წლის უკანახაზელმა ადამ ბლეიზეკმა მიიღო. მეორე ადგილზე ქუთაისისა და საქართველოს ნაკრების ცენტრი აკაკი დვალიშვილი გავიდა – 34 ქულა. მესამე ადგილი 24 ქულით დინამოს ცენტრ კაელ ტურპინს ერგო.

ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– პირველ რიგში, ჩემპიონობის შენარჩუნება ძალიან რთულია. ვინც კალათბურთს უყურებს, დამეთანხმება, რომ ქუთაისში თამაში არ არის მარტივი. ვამაყობ ჩემი მოთამაშეებით. დიდი მადლობა ჩემს ასისტენტებს, რომლებმაც სეზონის სტარტზე დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

საქართველოს ნაკრებს დვალიშვილი გამოაკლდა. ჩაკვეტაძე საეჭვოა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ავსტრიაში საწვრთნელი შეკრების ფარგლებში ერთჯერად ვარჯიშებს განაგრძობს. მალტასთან შეხვედრისთვის 23 ფეხბურთელი ემზადებოდა. უახლოეს ამხანაგურ მატჩებში კი ეროვნულ ნაკრებს ტრავმის გამო ვლადიმერ დვალიშვილი ვერ დაეხმარება. ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობას გიორგი ჩაკვეტაძე. ფეხბურთელი, რამდენიმე კვირის წინ მიღებული ტრავმის გამო, ამ დროისთვის სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს.

ბად ჰარინგში გამართული ვარჯიშის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში პირველ გამოძახებასთან დაკავშირებით ბექა ვაჩიბერაძემ ისაუბრა. 22 წლის ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად ლატვიურ კლუბ რიგასში ირიცხება, სხვადასხვა დროს უკრაინის ასაკობრივ გუნდებში თამაშობდა.

ბექა ვაჩიბერაძე:

– ძალიან მოხარული ვარ, რომ მომიწვიეს საქართველოს ნაკრებში. ყველაფერს გავაკეთებ, რომ სამწვრთნელო შტაბს ვაჩვენო ჩემი შესაძლებლობები. მინდა, რომ ბოლომდე გამოვავლინო ჩემი თავი ვარჯიშებზე და მომავალში კვლავ გამომიძახონ საქართველოს ნაკრებში.

21 წლის გიორგი ხარაიშვილი საქართველოს ნაკრების ამ შემადგენლობასთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე პირველად იმყოფება. ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების საწვრთნელო შტაბის ინტერესის სფეროში გასულ წელსაც იყო. 2017 წლის იანვარში დუბაიში ვლადიმერ ვაისმა ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრების საწვრთნელი შეკრება გამართა. შვედეთის გიოტებორგში გადასვლამდე გიორგი ხარაიშვილი თბილისის საბურთალოს ღირსებას იცავდა.

გიორგი ხარაიშვილი:

– ყველა ფეხბურთელისთვის პატივია პირველ გუნდში თამაში და ქვეყნის სახელის დაცვა. ეს ორი ამხანაგური თამაში ერთგვარი შანსია ახალგაზრდისთვის, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და შემდეგ ოფიციალურ თამაშშიც იყოს განაცხადში.

მალტის ნაკრები ჩვენთვის კარგად არის ნაცნობი და აქამდე ერთმანეთში 8-ჯერ გვითამაშია. განვლილ შეხვედრებში საქართველომ 5-ჯერ იმარჯვა, ორი ფრედ დასრულდა, ხოლო ერთხელაც მალტელებმა მოგვიგეს.

კუნძულელებთან სანაკრებო დონეზე პირველი დაპირისპირება 1993 წლის თებერვალში, საერთაშორისო ტურნირზე გვქონდა. ეს იყო ჩვენი ნაკრების ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტურნირი და საქართვე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ზიდანმა მადრიდის რეალი დატოვა

გუშინ, 31 მაისს, ზინედინ ზიდანმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც სენსაციური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ თანამდებობას ტოვებს და მომავალ წელს რეალის მწვრთნელი აღარ იქნება.

ზიდანმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ მას ცვლილებები სჭირდება და რეალში შესაძლებლობები ამოწურა.

– სამი დიდებული წლის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ გუნდს დავემშვიდობო, რადგან რეალს ახალი სისხლი სჭირდება. რეალი ყოველთვის ძალიან მეყვარება და შესაძლოა ოდესმე დავბრუნდე კიდეც, – განაცხადა ზინედინ ზიდანმა.

რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ასევე გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ მისთვის ზიდანის გადაწყვეტილება ძალიან მოულოდნელი იყო.

– ძალიან გამიკვირდა ზიდანის ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ მას პატივს ვცემ და მისი სურვილის წინააღმდეგ ვერ წავალ. ზიზუ ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული იქნება, – განაცხადა პერესმა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს ზიდანის პოსტს და ვინ გახდება რეალის ახალი მწვრთნელი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ამერიკას ჰეროინისგან კანალიზაცია გადაარჩენს

ამერიკის არიზონის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები ამერიკის ქალაქებს ოპიატებისა და ოპიოიდური ანალგეტიკებისგან სიკვდილის თაობაზე აფრთხილებენ.

ყოველთვიურად უნივერსიტეტის ლაბორატორია ექვსი მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას აწვდის ჰეროინის, ასევე ოქსიკოდონის, ფენტანილის და სხვა ოპიოიდების საერთო მოხმარების მონაცემებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩინოსნები, ოპიატებისა და ოპიოიდების მოხმარებაზე სტატისტიკის შეგროვებისას ეყრდნობიან საავადმყოფოების მონაცემებსა და კვლევებს. როგორც წესი, ასეთი მონაცემები არასაიმედოა, ხოლო მათ შეგროვებას წლები სჭირდება.

ჩამდინარე წყლები კი საშუალებას იძლევა, უფრო სწრაფად მოხდეს ნარკოტიკების მოხმარებისა და მათი შემადგენლობისთვის თვალის დევნებას. მაგალითად, თუ დილერები ჰეროინს ფენტანილს ურევენ, რომელიც ათჯერ უფრო ძლიერია და რომელზეც ოპიოიდური სიკვდილის დიდი ნაწილი მოდის, კანალიზაციიდან მოპოვებული მონაცემები, მისი მოხმარების მატებას უჩვენებენ.

ამის შესაბამისად, ჩინოსნები გაზრდიან ნალოკსონის რეზერვს და მას უფრო დიდი დოზით გამოიყენებენ. ნალოკსონი ეფექტურია ჰეროინის დოზის გადამეტების დროს, ფენტანილის დოზის გადამეტების დროს უფრო დიდი მოცულობის პრეპარატია საჭირო.

საქართველოს ნაკრებს დვალიშვილი გამოაკლდა. ჩაკვეტაძე საეჭვოა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლოს ნაკრებმა თემურ ქეცბაიას ერთადერთი გოლით მოიგო ეს შეხვედრა.

მალტელებს მეორედ იმავე წელს შევხვდით – ამჯერად უკვე თბილისში და მატჩი 1:1 დასრულდა. პირველი გოლი სტუმრებმა საჯარიმოდან გაიტანეს, თუმცა მალევე შოთა არველაძემ ზუსტად შეასრულა პენალტი. ეს იყო საქართველოს ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის პირველი გოლი ნაკრებში. ორივე მატჩში მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე იყო.

შემდეგი ორი მატჩი ქართველებმა დამაჯერებლად მოიგეს: 1998 წელს, მალტის საერთაშორისო ტურნირზე, ვლადიმერ გუცაევის თავკაცობით, საქართველოს ნაკრებმა მიხეილ ყაველაშვილის დუბლითა და გოჩა ჯამარაულის გოლით 3:1 დაამარცხა მასპინძლები.

რვა წლის შემდეგ კი, 2006 წელს, კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით, ჯაბა კანკავასა და ოთარ მარცვალაძის გოლებით მოვიგეთ.

უსიამოვნო გასახსენებელია მალტასთან მეხუთე დაპირისპირება: მასპინძელთა საუკეთესო ფორვარდმა მაიკლ მიფსუდმა 2 უპასუხო გოლი გაუტანა ექტორ კუპერის დამოძღვრილ საქართველოს.

მომდევნო ორი მატჩი ჩვენმა ნაკრებმა თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ჩაატარა და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა საქართველო და მალტა ერთ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ.

პირველი შეხვედრა, 2010 წლის 8 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა და 3 ქულა ერთობ მძიმე ბრძოლაში მოვიპოვეთ: 0:0-ზე, მატჩის მიწურულს ჩვენმა მეკარემ, ნუკრი რევიშვილმა გადაგვარჩინა. ბოლოს კი, ჩვენი კაპიტნის, კახა კალაძის ზუსტი ფლანგური პასის მერე დავით სირაძემ ეფექტური თავური დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა.

2011 წლის 6 სექტემბერს ლავალეტაში კანკავას გოლით ვიგებდით, მაგრამ ისევ მაიკლ მიფსუდი და მან თავის გუნდს იმ შესარჩევ ციკლში პირველი ქულაც მოუტანა.

ბოლოს იყო ისევ ამხანაგური მატჩი კახა ცხადაძის ხელმძღვანელობით 2015 წლის 25 მარტს და საქართველოს ნაკრებმა ბოლო ხუთ წუთში კანკავასა და ვაკო ყაზაიშვილის გოლებით იმარჯვა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა მალტისა და ლუქსემბურგის ნაკრებებთან:

მეკარეები: გიორგი მაკარიძე (რიუ ავე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ზაურ მახარაძე (ოლიმპიკი, უკრაინა);

მცველები: გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან გეგეჭკორი (რუსთავი) სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), ლევან ხარაბაძე (დინამო თბ), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

ნახევარმცველები: გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ვახტანგ ჭანტურიშვილი (სპარტაკი, სლოვაკეთი), ბექა ვაჩიბერაძე (რიგასი, ლატვია), გიორგი ხარაიშვილი (გიოტებორგი, შვედეთი), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი);

თავდამსხმელები: ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ბუდუ ზივზივაძე (დინამო თბ).

ლუქსემბურგთან მატჩისთვის გუნდს შეუერთდებიან ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ჯამბულ ჯიღაური (ორდაბასი, ყაზახეთი) და ბაჩანა არაბული (ბალმაზუივაროში, უნგრეთი).

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ბოშების ქორწილმა ესპანური რესტორანი უფულოდ დატოვა

რუმინელი ბოშების ოჯახმა ქორწილი ესპანურ რესტორანში გადაიხადა და ისე გაიქცა იქიდან, რომ ფული არ გადაიხადა.

ქორწილი ესპანეთის ვივეროს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ რესტორანში გაიმართა. მასზე 200 სტუმარი იყო დაპატიჟებული, ასევე ქორწილში იმღერა რუმინელმა მომღერალმა ნიკოლაე გუცემ, რომელიც ესპანეთში კერძო თვითმფრინავით ჩავიდა. მენიუში იყო მერლუზა, ხბოს დაკეპილი ხორცი, ღვინო და ვისკი.

საზეიმო საღამოს წინ ბოშების ოჯახმა ქორწილის გადახდაზე ხელი მოაწერა კონტრაქტს და გირაოს სახით 1,5 ათასი ევრო შეიტანა. თუმცა ქორწილის მეორე დღეს რესტორანის პატრონებს თავიანთი კლიენტები აღარ დახვდნენ. შემკვეთების მიერ დატოვებული ტელეფონის ნომრები მიუწვდომელი აღმოჩნდა. ღონისძიებისთვის გადასახდელმა თანხამ რვა ათას ევროს გადააჭარბა.

მოგვიანებით ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილის – სიძის ძმის მეუღლის პოვნა მოხერხდა. მისი თქმით, მისი მეუღლე ავარიაში მოყვა, შემდეგ კი ფულისთვის რუმინეთში გაემგზავრა.

რესტორნის მფლობელებმა პოლიციას მიმართეს. გაირკვა, რომ ოჯახი დიდი ხანია ვივეროში რუმინელთა ადგილობრივ თემში ცხოვრობს, თუმცა მონაცემები მათი შემოსავლის წყაროზე ან საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციაზე, არ აღმოჩნდა. ესპანეთის პოლიციამ დახმარებისთვის რუმინეთის ხელისუფლებას მიმართა. ვარაუდობენ, რომ არაკეთილსინდისიერი კლიენტები სამშობლოში დაბრუნდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 ივნისისთვის

ვერძი – ძველი პრობლემების მოსაგვარებლად ახალ მეთოდებს მიმართეთ. მიენდეთ ინტუიციას. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, იდეების რეალიზაციისათვის. მოუსმინეთ შინაგან ხმას. **ტყუპები** – დღეს არასასურველია ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები. დაისვენეთ მშვიდად მყუდრო გარემოში, შინაურების წრეში. **კირჩხიბი** – ჯანმრთელობას არ უჩივით. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. მიზანს იოლად მიაღწევთ. **ლომი** – მოსალოდნელია მცირეოდენი უსიამოვნება და კამათი ოჯახის წევრებთან. უმჯობესია, თუ კომპრომისზე წახვალთ. **ქალწული** – აქტიურად დაისვენეთ. ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, ივარჯიშეთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **სასწორი** – საყვარელ ადამიანთან მცირე კამათია მოსალოდნელი ფინანსების ან ეჭვიანობის გამო. ემოციები აკონტროლეთ. **ღრიანცალი** – გააანალიზეთ მოვლენები და საკუთარი გრძნობები, რათა გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული და გაწონასწორებული დღეა. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ქალაქგარეთ გასეირნება სასიკეთო იქნება. **თხის რქა** – რთული პერიოდია, არაკეთილისმყოფელი აქტიური მოქმედებებისათვის. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობის მოგვარებას საკმაო ხანი დასჭირდება. **მერწყული** – თქვენი შრომა სასარგებლო შედეგით დასრულდება. ყველაფერში პროგრესი შეინიშნება. ოცნების ასრულებას წინ არაფერი უდგას. **თევზები** – ნებისმიერი კონტაქტისათვის შეუფერებელი დღეა. დიდია მოტყუების ალბათობა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სითხის რაოდენობა, რომელსაც წყარო იძლევა დროის ერთეულში; 2. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 3. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 4. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 8. ცხვირის ღრუს გასასინჯი სარკე; 9. მორალური ხასიათის აზრი, გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება; 11. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 12. ჩეხური მოტოციკლეტი; 14. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 16. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და სირბილში; 17. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 19. მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 21. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 5. უცხოური ვალუტის, ფასიანი ქაღალდის საბირჟო ფასის დადგენა; 6. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 7. საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია; 10. ნახატი ზღვის ხედით; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. სახელმწიფო ევროპაში; 18. ქალაქი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დღე; 20. ფულის გამოშვება; 22. კუთხე საქართველოში; 23. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი კოვბოური ქუდი; 24. თვალის ექიმი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აკაპელა; 2. ორტეგა; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ბონო; 11. ტროტილი; 13. რავიოლი; 15. ალილო; 16. თოიძე; 18. რუმბა; 19. სენტო.

თარაზულად: 6. კოვბოი; 8. პროლოგი; 9. ქაშვეთი; 10. ესკორტი; 12. ქაცვი; 14. ვინილი; 17. ნოვარტისი; 20. უნისონი; 21. პლებეი; 22. ბენტლი; 23. ცელსიუსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იამოტო; 2. კრაზანა; 3. ფუკუსიმა; 4. მირაბელი; 8. კარბონადო; 9. მიკოლოგია; 11. კნეთელი; 12. კარე; 14. წიდა; 16. გლდანულა; 17. შატბერდი; 19. კულაკი; 21. შატლი.

თარაზულად: 5. მურყვამი; 6. სათაფლია; 7. ნატახტარი; 10. ტიტანი; 13. პიკოლო; 15. არითმია; 18. ალდაგი; 20. კრისტი; 22. ბალახვანი; 23. პლესეცკი; 24. ალავერდი.

გიო ხუციშვილს ვარსკვლავი ბიძინა ივანიშვილმა გაუხსნა

29 მაისს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მომღერალ გიო ხუციშვილის ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავის გახსნამდე საკონცერტო დარბაზში მომღერლის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, სადაც ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა გიოსთან ერთად ჰიტები შეასრულეს.

კონცერტს ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად ესწრებოდა. კონცერტის დასრულების შემდეგ გიო ხუციშვილის ვარსკვლავი ბიძინა ივანიშვილმა მრავალჟამიერის ფონზე გახსნა.

ანა ყიფიანმა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა

ახალგაზრდა პიანისტმა ანა ყიფიანმა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა.

ანამ მონაწილეობა მიიღო მარია ჰერეროს სახელობის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსში, რომელიც მერვედ ჩატარდა.

კონკურსზე ანამ პირველი პრემია მოიპოვა.

„წერილი ბოთლში“ — ბერამ ახალი სიმღერა დაწერა



მომღერალმა ბერამ ცოტა ხნის წინ უარი თქვა რეპის სტილში სიმღერის შესრულებაზე და სოულის სტილში დაწერილი სიმღერები შესთავაზა მსმენელს. თუმცა მოგვიანებით კვლავ რეპს დაუბრუნდა და ბოლო დროს მსმენელს ამ სტილის სიმღერები წარუდგინა.

„წერილი ბოთლში“ – ასე ეწოდება მის ახალ სიმღერას, რომელიც 45 წლის ასაკში გარდაცვლილი ნათესავის კობა კობიაშვილის ხსოვნას ეძღვნება.

– ჩემს ისტორიას ვატან ზღვას, ვიცი, ვერ წავიღებ იქ იმას, რაც აქ მაქვს, – ასე იწყება ბერას სიმღერა, რომელსაც ინტერნეტში ათასობით გაზიარება და მოწონება აქვს.

დუტა სხირტლაძე „იქს ფაქტორის“ წამყვანი გახდა

მსახიობი დუტა სხირტლაძე მუსიკალური შოუს „იქს ფაქტორის“ ერთ-ერთი წამყვანი გახდა.

ორშაბათიდან „იქს ფაქტორი“ პირდაპირ ეთერში გავა და კონკურსანტებს მაყურებლისთვის პირდაპირ ეთერში მოუწევთ სიმღერა.

„იქს ფაქტორის“ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, შოუს წამყვანებს რუსკა მაყაშვილსა და ვანიკო თარხნიშვილს პირდაპირ ეთერში შეუერთდებიან მოდელი ლიკა ქორქია, მსახიობები დუტა სხირტლაძე და გიგო შიუკაშვილი და ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძე.

ანრი ჯოხაძის, სტეფანე მღებრიშვილის, დათო ევგენიძის, ნანიკო ხაზარაძისა და თამთა გოდუაძის რჩეული 2-2 კონკურსანტი გამარჯვებისთვის ბრძოლას ორშაბათიდან პირდაპირ ეთერში დაიწყებს.

„მხოლოდ ქართული“ ორშაბათს ორ კონკურსანტს გაუშვებს

მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართული“ ორშაბათს ნახევარფინალს გამართავს და დარჩენილი 6 კონკურსანტიდან 2-ს სახლში გაუშვებს.

პროექტის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, შოუს ფინალში მხოლოდ 4 მათგანი მოხვდება.

ამჟამად „მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებისთვის იბრძვიან სოფო ბათილაშვილი, ალექსანდრე მრელაშვილი, კონსტანტინე კარანაძე, გოგა გიორგელაშვილი, საბა კემულარია და ოთო კვალიაშვილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„ეს აღარაა სახელმწიფო!“

ხელოვანები დავით სარალიძის მამას, ზაზა სარალიძეს, სოლიდარობას უცხადებენ და პროკურატურის უსუსურობაზე საუბრობენ.

გვანცა კანდელაკი, მსახიობი:

– პროკურატურა ისეთი უსუსურია, ვერ იძიებს თურმე და უცხოელები უნდა ჩამოიყვანონ... ბოდიში, მაგრამ ამ საქმეს თუ ვერ იძიებთ, რა კომპეტენციაზეა ლაპარაკი საერთოდ ... როგორ შეიძლება, ასეთ პროკურატურას ანდოს ქვეყანამ თავისი ქვეყნის ინტერესები... არაპროფესიონალიზმი... ნეპოტიზმი... არა მგონია, ქვეყანას ასეთი პროკურატურა სჭირდებოდეს...

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:

– ცხოვრებას ვინღა დაეძებს, ამ ქვეყანაში სუნთქვა და არსებობაც მიჭირს... ძალიან მრცხვენია, რომ ვერაფერს ვცვლი. ეს აღარაა სახელმწიფო!

მიშა ქირია, ოპერის მომღერალი:

– თქვენი არ მესმის, რომლებსაც ფეხებზე გკიდიათ ამ ადამიანის, ზაზა სარალიძის, ტრაგედია! მე არ მინდა, მშიშარა, მუქთახორა და მლიქვნელი საზოგადოების ნაწილი ვიყო!

გიორგი გასვიანი, მსახიობი:

– დიახ! საქართველოში შეცდომები და ტრაგედიები მეორდება! რა კომისია, რის ანალიზი?!

ნიკოლოზ ლაგვილავა, ოპერის მომღერალი:

– ასე რამ გამოუშრო ზოგ-ზოგიერთებს სისხლი... ასე როგორ უნდა დაეცე და გაბოროტდე, რომ ამ უბედური ადამიანის ტრაგედია გულთან არ მიიტანო... მოდის და პონტის გამო ეკლესიაში სიარული არ გიშველით....

ნანა ხურითი, მსახიობი:

– ჩვენ ყველა, ამ ხელისუფლების გულშემატკივრები, არაერთხელ ვახსენებდით ხელისუფლებას იმ ნაღმებზე, რომლებიც შეგნებულად ჩატოვეს თითქმის ყველა უწყებაში... ხან პოსტებით, ხან ოფიციალური წერილებით, ხან რით და ხან რით... პასუხი იყო: „ჩვენ უკეთ ვიცით“, „ასეა საჭირო“, „ყველას ხომ არ გავუშვებთ“? „ჩვენზე ვამუშავებთ“, „სისტემის მსხვერპლი იყვნენ“, „უნდა შევუწყოთ ხელი, იგრძნონ დამოუკიდებლობა“, „კადრები არა გვყავს“...და ა.შ. მივიღეთ რა? გადახედეთ? ზოგიერთები ჩემგან იცავენ „ქართულ ოცნებას“... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... თუ რაღაც გაუგებარი ფერის „ხმაური“ არ ხარ, არც გისმენენ... ჰოდა, ა ბურთი და ა მოედანი!

იმედა არაბული, მსახიობი:

„სისტემა უნდა დაინგრეს! სისტემა დაუნდობელია! სისტემამ ერი დაჩაგრა! სისტემას მყრალი სუნი ასდის! სისტემის შიში დანერგეს! სისტემით ძალადობენ! სისტემად აქციეს პირადი სურვილები! სისტემავ, შენი დედა მოვ..ან!

გურამ შეროზია, ბლოგერი:

– ყოველდღე სულ უფრო მეტად მეშინია ამ სამარცხვინო გარემოში ცხოვრება! მეშინია... რომ ხვალ ჩემს შვილს მოკლავენ და დამნაშავე „არავინ“ იქნება! რომ მე და ჩემი ოჯახის სხვა წევრებსაც დაგვერევიან და, ვინ იცის, იქნებ ვინმემ თვითმკვლელობაც დაგვაბრალოს. რომ გამოვალთ ქუჩებში, მეორე დღეს დავიშლებით და გავაგრძელებთ „მშვიდ“ ცხოვრებას ამ სიდამპლეში...

მორიგ ტრაგედიამდე
მორიგ უსამართლობამდე
მორიგ ტკივილამდე
და მორიგ დავიწყებამდე.
მეშინია, მეშინია, მეშინია!

მიშა მდინარაძე: „მრცხვენია, რომ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ სეგრეგაციაა, მუსიკას ვწერ!“

კომპოზიტორი მიშა მდინარაძე ქვეყანაში განვითარებული მოვლენებით შეშფოთებულია და რცხვენია, რომ კულტურას ემსახურება:

– მრცხვენია, რომ ამ საზოგადოების ნაწილი ვარ!

მრცხვენია, რომ ამ ძალადობის უნებლიე მონაწილე ვარ და ვერაფერს ვცვლი!

მრცხვენია, რომ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ სეგრეგაციაა, მუსიკას ვწერ და კულტურას ვემსახურები!

მრცხვენია, რომ სისტემა ფეხქვეშ მთელავს და მე უუნარო ვარ!

მრცხვენია, რომ ვცხოვრობ იქ, სადაც ქრისტიანობა და ქრისტე ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ჰგონიათ!

მრცხვენია, რომ სისტემა მკვდარ ბავშვებსაც ისე ექცევა, როგორც მხოლოდ მას აწყობს, ჩვენ კი ქვეყანა გვქვია, საზოგადოება და ევროპა... ვიზალიბერალიზაცია გვაქვს და ევროპაში უვიზოდ დავდივართ!

სირცხვილია, სირცხვილია, სირცხვილია!

წიგნის ფესტივალზე მსახიობები საყვარელ წიგნებზე ისაუბრებენ

თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფესტივალს 26 ცნობილი ქართველი მსახიობი შეუერთდება.

ფესტივალის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ხელოვანებმა გამოთქვეს სურვილი, შეექმნათ პროექტი „მსახიობები ლიტერატურისათვის“, რათა ფესტივალის სტუმრებისათვის წიგნები თავად წარედგინათ.

„ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში საგანგებოდ მოეწყო კუთხე, სადაც პირველ, 2 და 3 ივნისს რჩეული წიგნების შესახებ ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი მსახიობები ისაუბრებენ.

ბაია დვალიშვილი, ნინო კასრაძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნანი ჩიქვინიძე, გიორგი ბახუტაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, თემიკო ჭიჭინაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, ნატა მურვანიძე, პაატა ინაური, ლელა მებურიშვილი, კახა კინწურაშვილი, გია როინიშვილი, დათუნა გოცირიძე, კოკო როინიშვილი და მარინა ჯანაშია მკითხველებს შეხვდებიან და მათთვის საყვარელ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე ესაუბრებიან.

ინტეგრირებულმა დასმა „კაცია-ადამიანი?!“ დადგა

„აზდაკის თეატრმა“ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო სპექტაკლი გამართა.

სპექტაკლი ათონელის თეატრში იყო წარმოდგენილი. ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ს მიხედვით რეჟისორმა ივანე გაბრუაშვილმა მაყურებელს სპექტაკლი შესთავაზა.

ინტეგრირებული დასი „აზდაკის თეატრი“ ორი წელია არსებობს და 16 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 8 ტიპური განვითარების მსახიობს აერთიანებს.

10 ივნისს ფონდ „იავნანას“ თანადგომით „აზდაკის თეატრი“ საგასტროლოდ ბორჯომისკენ გაემართება.

იაპონელმა ორ ნესვში მილიონები გადაიხადა

ორი ცალი ნესვი – კანტალუპი იაპონიის სორატის ოლქის ქალაქ იუბარიდან აუქციონზე რეკორდულ თანხად გაიყიდა.

ფირმა Hokuyu Pack-ს ხელმძღვანელმა სინია ნოდამ ორ ნაყოფში 3,2 მილიონი იენი გადაიხადა. მისი თქმით, მას სურდა, რაც შეიძლება დიდი თანხა გადაეხადა, რათა ასე აღენიშნა საკუთარი კომპანიის 30 წლისთავი. კანტალუპებს საზოგადოებას თვის ბოლომდე წარუდგენენ, შემდეგ კი დაჭრიან და კომპანიის კლიენტებს უფასოდ დაურიგებენ.

გარიგება სეზონის მოსავლის პირველ აუქციონზე განხორციელდა, რომელიც ქალაქ საპოროს საბითუმო ბაზრობაზე რამდენიმე დღის წინ შედგა. მასში რვა ფირმა მონაწილეობდა, რომელთაც აუქციონზე 507 კანტალუპი გამოიტანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4719
- ევრო — 2.8716
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2807
- 100 რუსული რუბლი — 3.9548

ამინდის პროგნოზი 1 ივნისისთვის

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

25 მაისიდან

დინა რუბინა

პეტრუშკას სინდრომი

„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

1 ივნისიდან

ვიქტორ პელევინი

სამი ცუკერბრინის სიყვარული

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**

სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სერია ნამდვილი დეტექტივი

22 მაისიდან ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**

დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მაისიდან

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**



ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი შიში



ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ნეიმარი: „გადაწყვეტილებებს მე ვიღებ და არა მამაჩემი“

პსჟ-ს ფორვარდმა ნეიმარმა მამამისზე ისაუბრა, რომელიც მისი აგენტია.

ნეიმარის თქმით, ის თავისი კარიერის შესახებ გადაწყვეტილებებს თვითონ იღებს და მამამისი არაფერ შუაშია, თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ ნეიმარმა ბარსელონა მამამისის გამო დატოვა, რომელსაც ბარსელონასთან კონფლიქტი მოუვიდა.

ნეიმარმა თავის მომავალზეც ისაუბრა და თქვა, რომ პსჟ-ში ბედნიერია და სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს.

ამჟამად ნეიმარი ტრავმას იშუშებს და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც სტარტს 14 ივნისს აიღებს. ბრაზილია ამ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

კურტუა ჩელსიდან წასვლას აპირებს



ლონდონის ჩელსის მეკარე ტიბო კურტუა მომავალ სეზონში კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს.

კურტუას ჩელსისთან კონტრაქტი უმთავრდება და ის ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს კურტუა კარიერას. მისი შეძენა მადრიდის რეალს სურდა, მაგრამ ბოლო პერიოდში სამეფო კლუბი ამ მხრივ აღარ აქტიურობს. კურტუას ინგლისური კლუბებისგანაც აქვს შეთავაზებები და ის, სავარაუდოდ, ინგლისში დარჩება.

ხავიმ ბარსელონა გააკრიტიკა

ბარსელონის ლეგენდა ხავიმ თავისი ყოფილი გუნდის სატრანსფერო პოლიტიკაზე ისაუბრა და თქვა, რომ კატალონიელები სწორად არ მოქმედებენ.

ხავის აზრით, ბარსელონამ თავის აკადემიას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და ამ მხრივ განვითარდეს, რადგან ბოლო წლებში ბარსელონაში თითქმის არ არიან მისი აღზრდილი ფეხბურთელები, რაც, ხავის თქმით, დაუშვებელია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

წარწერა ქალი მძღოლის ავტომობილის საწვავის ავზის თავსახურზე:

„სულელო, დიზელია!“

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– აბა, მიპასუხე, რას ვიღებთ ქიმიის წყალობით?

– ქერათმიანებს, მასწავლებელო!

•••

ახალგაზრდა დრამატურგის პიესა მაყურებელმა ძალიან ცივად მიიღო. კულისებში მას ახლობლები ამშვიდებენ. ბოლოს დრამატურგი ამბობს:

– იმისთვისაც მადლობა, რომ არ დაუსტვინეს.

– ეგ სრულიად ბუნებრივია, – ეუბნება ერთ-ერთი ახლობელი, – შეუძლებელია ადამიანი ერთდროულად ამთქნარებდეს და უსტვენდეს.

•••

თეატრის დირექტორი დრამატურგს ეუბნება:

– მაყურებელს თქვენი პიესა არ მოსწონს.

– საიდან იცით? დარბაზი ხომ ცარიელია.

•••

ოკეანეში საკრუიზო ხომალდი იძირება. პანიკაში ჩავარდნილ გემის კაპიტანს თანაშემწემ აცნობა, რომ გემზე არის სომეხი, რომელიც სასწაულებს ახდენს. კაპიტანი უბრძანებს:

– სასწრაფოდ მომიყვანეთ!

მოუყვანეს სომეხი. კაპიტანი ეკითხება:

– რისი გაკეთება შეიძლება?

– ინტერნეტი გააქვთ?

– კი, გვაქვს!

– სასწრაფოდ გაყიდეთ გემი.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– ანგარებით გათხოვდებოდი?

– იცი, ისე ძალიან მიყვარს ფული, რომ ეს ნებისმიერ შემთხვევაში სიყვარულით გათხოვება იქნებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი 2

შვეულად: 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 2. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 3. ჭადრაკის წინამორბედი, ინდური მაგიდის სათამაშო; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 5. განსაკუთრებით ძვირფასი, სამახსოვრო ნივთი; 7. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 13. მონასტერი ქსნის ხეობაში; 15. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი გრძელნისკარტა ფრინველი; 16. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 19. ავტოდრომი იტალიაში.

თარაზულად: 6. ნიადაგის რღვევა, ჩამოშლა; 8. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი; 9. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 10. ლირიკული ჟანრის ვოკალური ნაწარმოები; 12. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 14. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 17. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის ნაწილი; 20. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 21. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 22. ქრისტიანთა წმინდა წიგნი; 23. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა